გაზეთი „ახალი თაობა“ და ვებგვერდი AKHALITAOBA.GE აცხადებენ 50%-იან საზაფხულო ფასდაკლებას რეკლამის განთავსებაზე 1 სექტემბრის ჩათვლით. დარეკეთ 577460659 ან 595183709

ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 27 – 28 ივლისი, 2019

№176 (8130)

ფასი: 60 თეთრი

გუბაზ სანიკიძე: „ოქრუაშვილი ბიძინას პირადი პატიმარია“

„დამიჭერენ თუ არა, ეს დამოკიდებულია იმაზე, რა როლი მექნება ბიძინას სიზმარში“

გვ.2

19 ივლისიდან

რევაზ მიშველაძე

ციყვი ბორბალში

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

„ოქრუაშვილი ციხეში თუ ღირსეულად ჩაჯდება, ამით მხოლოდ ქულებს დაინერს“

პაატა ზაქარეიშვილი: „ხაზარაძისა და ჯაფარიძის ადგილზე ციხეში ჩავჯდებოდი“

გვ.4

მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს 700-700 ათასი ლარი გირაო შეეფარდათ

„ეს სისტემა დაინგრევა ძალიან მალე და ესენი სახლში წავლენ“

გვ.7

გვ.3

„ამერიკა ივანიშვილს ანგარიშებს გაუყინავს“

გიორგი გუგავა: „სისხლით მოპოვებულ დამოუკიდებლობას ამ ვიგინდარებს ვერ შევწირავთ“

გვ.2

დავით ჭიჭინაძე: „ოცნებას“ აღარც ვადამდელი არჩევნები უშველის“

გვ.3

მეგი გოცირიძე: „მხოლოდ ლარის გაუფასურებას რატომ გვაბრალებთ, მკვდარი ზღვაც ნაციონალებმა მოვკალით“

„ლარს გაფერადება კი არა, გამყარება უნდოდა“

გიგა ბუკია: „სააკაშვილმა ბინა რომ წამართვა, საგუთზე ნიკანორ მელიას ხელმოწერა იყო“

გვ.5

„ოქრუაშვილი და ხაზარაძე წინასწარ ალიბის იქმნიდნენ“

ვახტანგ მაისაია: საქართველოსა და აზერბაიჯანს საერთო მტერი ჰყავთ – რუსეთი

გვ.6

სამართალი

გვ.7

გუგა კოღუამ შაკო ტყემალაძეს მესიჯით შეხვედრა სთხოვა. სმს-ით გაგზავნილია მკვლელობის იარაღის ფოტოც

მალხაზ მაჩალიკაშვილის ძმისშვილი დააკავეს

რუსთავში ჰონდა აუდის დაეჯახა

დაშავდა 35 წლის ქალი

ISSN 1987-9385

4 თამაზ მეჭიაური: „მცხეთა-მთიანეთის განვითარების ხელისშემშლელი მიზეზი დღემდე ზაქარია ქუცნაშვილის არაფორმალური მმართველობაა“

5 თემურ ჭყონია ლარის გაუფასურებაზე: „ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ან სამოქმედო გზებზე უნდა ისაუბროს, ან თანამდებობიდან წავიდეს“

6 საქართველოზე გამავალი ტვირთის ოდენობა 2013 წლიდან მცირდება

5 დაცლილი დახლები, დაკეტილი მაღაზიები და ხელისუფლებაზე ძალიან გაბრაზებული მოსახლეობა

დავით ჭიჭინაძე: „ოცნებას“ აღარც ვადამდელი არჩევნები უშველის“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი **დავით ჭიჭინაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, ირაკლი ოქრუაშვილის დაკავებას, ხაზარაძე-ჯაფარიძისთვის ბრალის წარდგენას რას უკავშირებთ? ამ ყველაფერს რამდენად განიხილავთ ერთიან კონტექსტში?

– ძალიან მძიმე და რთული პროცესის მოწმენი ვართ. სიმართლე გითხრათ, არც იმის თქმა მინდა, რომ ერთ მხარეს არის სინათლე და მეორე მხარეს – წყვდიადი. ფაქტია, ადამიანებს დაპატიმრებით ემუქრებიან. ასევე ფაქტია, რომ ვიღაცები დააკავეს. ეს არის პოლიტიკური პროცესის ნაწილი, რომელიც გარკვეული დანაშაულის ელემენტებს შეიცავს.

ასევე, ძალიან რთული მოსასმენია ის, რასაც ვისმენთ. თურმე, სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც ამ ქვეყნის სამსახურში უნდა იყვნენ, რაღაც წილების გადაფორმება-გადმოფორმებით ყოფილან დაკავებული.

ბოლოს და ბოლოს, რა გამოდის, რომ მთელი ეს ჩვენი უახლესი ისტორია, ეს 30 წელი სახელმწიფოს ხარჯზე ჩინოვნიკების გამდიდრების ისტორიაა?! ეს არის სრული კატასტროფა. ამას ვამბობ ყველა ყოფილ და მოქმედ ხელისუფლებაზე, გაქცეულზე, დაპატიმრებულზე თუ მოქმედ ჩინოვნიკზე, რომელიც სავარძელშია და რომელსაც საერთოდ არ ადარდებს ამ ქვეყნის მოქალაქეების ბედი.

სახელმწიფოს ხარჯზე გამდიდრებული ჩინოვნიკების ისტორიაა ჩვენი უახლესი ისტორია. ეს თუ არ შეიცვალა, ეს მიდგომა თუ არ შეიცვალა, ასე შორს ვერ წავალთ. ამ ყველაფრის შემხედვარეს, ძალიან დიდი ეჭვი მეპარება, რომ ეს სიბინძურე ასე მარტივად შეიცვალოს.

– თქვენ ამბობთ, რომ პოლიტიკური კლასია შესაცვლელი?

– ერთმნიშვნელოვნად! დიახ, პოლიტიკური კლასი თუ არ შეიცვალა, თუ არ მოვიდნენ ადამიანები, რომლებსაც ამ ქვეყნის მომავალი ადარდებთ და რომლებიც ამ პასუხისმგებლობის ასაღებად იქნებიან მზად, არაფერი გამოვა.

ეს არის გაკოტრებული პოლიტიკური კლასი, რომელსაც არ შესწევს ვითარების შემობრუნების ძალა. ხალხი დაიღალა უკვე იმ ჩინოვნიკებით, რომლებსაც მხოლოდ საკუთარი თავი ადარდებთ, საკუთარი მომავალი და საკუთარი კეთილდღეობა.

– ოპოზიცია აცხადებს, რომ ხელისუფლებამ პოლიტიკური ველის მოსუფთავება დაიწყო. ეთანხმებით?

– პოლიტიკური ველი ისედაც მოსუფთავებულია. მეტ-ნაკლებად რაციონალური, ოდნავ ძლიერი, ახალი პოლიტიკური ძალა თუ გამოჩნდა, ხელისუფლებას ეს არჩევნები წაგებული

აქვს. „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარ თავს ხარაკირი გაუკეთა. სხვა შეფასება, უბრალოდ, შეუძლებელია.

– როგორ შეიძლება, 2020 წლის არჩევნებამდე მივიდეს ქვეყანა?

– ეს იქნება დამოკიდებული ძალიან ბევრ ფაქტორზე. მათ შორის ეს იქნება დამოკიდებული გარე და შიდა ფაქტორებზე.

– რას გულისხმობთ გარე ფაქტორებში?

– ძალიან ბევრ რამეს. ეკონომიკურ ფაქტორებსაც არ გამოვრიცხავ. ერთი სიტყვით, ძალიან დიდი გამოწვევების წინაშე დგას მხოლოდ ხელისუფლება არა. მაშინ ბევრად უფრო ნაკლები პრობლემა იქნებოდა, სამწუხაროდ – ჩვენი სახელმწიფო.

– ბატონო დავით, თქვენ მუდამ ვადამდელი არჩევნების საჭიროებაზე საუბრობდით. შეიძლება, ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს?

– ამ ვითარებაში არაფერს გამოვრიცხავ. თუმცა, მე როდესაც ვადამდელ არჩევნებზე ვსაუბრობდი, მაშინ „ქართულ ოცნებას“ მართლაც რომ დაენიშნა ვადამდელი არჩევნები, თვითონაც მოგებული იქნებოდა და ქვეყანაც. ამდენი შეცდომაც არ ექნებოდათ დაშვებული.

ახლა შეცდომას შეცდომაზე უშვებენ. ქვეყანას ეს ყველაფერი ასცდებოდა, მაგრამ მე ვინ მისმენდა. თქვენ გახსოვთ, მაშინ როგორ განვითარდა მოვლენები, გახსენებაც კი არ მინდა. მე ვხედავდი შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას. მას რეალურად ვაფასებდი. ეჭვგარეშე იყო, რომ ეს კრიზისები გარდაუვალი იყო, კრიზისების პრევენცია კი არჩევნებია. ამიტომ ვამბობდი, რომ ვადამდელი არჩევნები იყო ერთადერთი გამოსავალი და სხვა არაფერი.

– უკვე გვიანაა?

– ახლა, გნებავთ, ვადამდელი არჩევნები დანიშნოს „ქართულმა ოცნებამ“ და, გნებავთ, არჩევნები 2020 წლის შემოდგომაზე ჩატარდეს, როგორც ეს არის კონსტიტუციით განსაზღვრული. ხელისუფლებას მაინც არაფერი ეშველება.

გუბაზ სანიკიძე: „ოქრუაშვილი ბიძინას პირადი პატიმარია“

„დამიჭერენ თუ არა, ეს დამოკიდებულია იმაზე, რა როლი მექნება ბიძინას სიზმარში“

იავო ნაცვლიშვილი

25 ივლისს მოძრაობა „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი დააკავეს, რომელიც „რუსთავი 2“-დან მოდიოდა და პრაქტიკულად სპეცოპერაცია მოუწყვეს. შსს-ს ოფიციალური განცხადებით, ირაკლი ოქრუაშვილს წარდგენილი აქვს ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა და მასში მონაწილეობა. ოპოზიცია ოქრუაშვილის დაკავებას პოლიტიკურ რეპრესიებად აფასებს.

ირაკლი ოქრუაშვილის დაკავების საკითხზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მისი თანაგუნდელი, „გამარჯვებული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი **გუბაზ სანიკიძე** საუბრობს:

– ირაკლი ოქრუაშვილის დაკავების საკითხზე პოლიტიკურ მოტივაციაზე ისაუბრეთ და მას უწოდეთ პოლიტიკური პატიმარი. ჩვენთან ინტერვიუში ადრეც გაქვთ ნათქვამი, რომ ელოდით როგორც ოქრუაშვილის, ისე თქვენს დაკავებასაც, მაგრამ ხაზს უსვამდით, რომ ამით უარეს შედეგს მიიღებს ივანიშვილი. ახლა რა გეგმაზე გადადიხართ?

– დიახ, გეთანხმებით, რომ ივანიშვილისგან ასეთი გადაწყვეტილება მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა. გეგმებს რაც შეეხება, ვფიქრობთ, მაგრამ ამას ახლა ნამდვილად ვერ მოგახსენებთ. ახლა გეგმებზე განცხადების გაკეთება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. ვფიქრობთ და ვმსჯელობთ, როგორ, რა და რანაირად უნდა გავაკეთოთ. დღეს ამის აფიშირებას ნამდვილად არ ვაპირებთ.

– სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიასთან გაქვთ თუ არა აქტიური კონსულტაციები?

– დიახ, მიმდინარეობს. გარკვეული კოორდინაცია ნამდვილად არის, მაგრამ მიმაჩნია, რომ კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს ეს კოორდინაცია.

– ირაკლი ოქრუაშვილის დაკავებას რას უკავშირებთ, ეს

უკავშირდება იმ ბრალდებას, რა ბრალდებაც მას წარუდგინეს თუ ეს უკავშირდება „რუსთავი 2“-ის თემას?

– ეს უკავშირდება „რუსთავი 2“-ის საკითხს, მორჩა და გათავდა. ის, რაც წაუყენეს ბრალდებად, არის საბაბი, თორემ მიზეზი არის „რუსთავი 2“. ერთ თვეზე მეტი გავიდა იმ აქციიდან, პროკურატურაშიც დაკითხეს ირაკლი ოქრუაშვილი, წასული იყო საზღვარგარეთ და ჩამოვიდა, არ დამალულა და თანამშრომლობდა გამოძიებასთან. ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც ირაკლი ოქრუაშვილმა გააკეთა თავისი განცხადებები „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით. სადავოც აღარაფერია. ეს თემა უკავშირდება „რუსთავი 2“-ის საკითხს და ეს ყველაფერი ზედაპირზე დევს.

– ფიქრობთ, რომ ეს გადაწყვეტილება უშუალოდ ბიძინა ივანიშვილმა მიიღო?

– აბა, ვინ მიიღო?! სხვას ვის აქვს ამ ქვეყანაში გადაწყვეტილების მიღების უნარი?! ირაკლი ოქრუაშვილი არის ბიძინა ივანიშვილის პირადი პატიმარი.

– რა მოლოდინი გაქვთ? ელოდებით თუ არა იმას, რომ ოპოზიციაში, მათ შორის თქვენს მოძრაობაშიც კიდევ იქნება დაჭერები?

– ვერ გეტყვით, ვერ ვიმარჩიელებ ამ თემაზე, იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილი უკვე აღარ ექვემდებარება ლოგიკას. პროგნოზები კეთდება ლოგიკიდან გამომდინარე და ჩვენ საქმე გვაქვს აბსოლუტურად ალოგიკური აზროვნების მქონე ადამიანთან. ამიტომ ბიძინა ივანიშვილის ქმედებებზე ვერანაირ პროგნოზს ვერ გავაკეთებ.

– თქვენ არაერთხელ გაქვთ გაკეთებული განცხადება, რომ ივანიშვილის გეგმაა, საქართველო აქციოს მოსკოვის გუბერნიად. ეს პროცესი დაიწყო უკვე?

– არ ეტყობა? ყველაფერი ჩანს. აგერ თავისუფალი სიტყვის გაჩერებისკენ მიდიან, აგერ ირაკლი ოქრუაშვილი დააპატიმრეს, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის გაჩერებაზე მამუკა ხაზარაძეს ებრძვიან, ასრულებენ ყველანაირ დირექტივას, რასაც რუსეთიდან იღებენ. დილით იტყვიან ლავროვი და გავრილოვი, საღამოს ამას მოსდევს ბიძინას შესაბამისი ქმედება. ყველაფერი ზემოთ, ზედაპირზე დევს უკვე და ძნელი გამოსაცნობი არ არის ვითარება. ეს, მგონი, უკვე ნათელია.

– რა ბერკეტები არსებობს იმისათვის, რომ ეს ყველაფერი შეაჩეროთ როგორც პოლიტიკურმა სუბიექტმა, ისე საზოგადოებამ?

– ბერკეტი არის ქართველი ხალხი, რომელიც ჯერჯერობით გაჩერებულია. სადამდე აპირებს ქართველი ხალხი გაჩერებას და ამდენი რამის მოთმენას, ესეც საინტერესო თემაა. ბიძინა ივანიშვილთან ყველაფერი გარკვეულია და გასარკვევია, ქართველი ხალხი როდის მიხვდება ამ ყველაფერს, რომ ეს კაცი ქვეყანას აქცევს, ანადგურებს – როდესაც 1 დოლარის ღირებულება 3 ლარი გახდება თუ როდესაც 4 ლარი გახდება?!

შემოდგომა მოვა და ვნახავთ, როგორ მდგომარეობაში შეხვდება ქვეყანა. იმედი მაქვს, ეს ხალხი შეფასებებს გააკეთებს. ივანიშვილი ხელისუფლებაში ამ ქვეყნის აყვავებისთვის არ არის მოსული, მგონი, ამაში უკვე ყველანი დავრწმუნდით.

– თქვენც იყავით გამოკითხვაზე. რა კითხვები ჰქონდა გამოძიებას თქვენთან?

– არაფერი, აინტერესებდათ, რა მდგომარეობა იყო, ჩემი ლოკაცია სად იყო, რას ვაკეთებდი, ვინ როგორ იქცეოდა, რომელი პოლიტიკოსები იყვნენ. საინტერესო ბევრი არაფერი ყოფილა.

– აქედან გამომდინარე, არ ელოდებით, რომ შესაძლოა თქვენზეც რაღაც რეპრესიები განხორციელდეს და დაგიჭირონ?

– არ ვიცი. ბიძინას რა დაესიზმრება ღამე და მე ამ სიზმარში რა როლი მექნება, ამის მიხედვით მიიღებს გადაწყვეტილებას. ოქრუაშვილის კადრები ხომ ნახეთ?! იქ რამე შეამჩნიეთ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის მსგავსი რაღაც, ან ჯგუფური ძალადობა პოლიციაზე, სადმე ხელს იქნევს ან დედას იგინება, ან ზარბაზანი უჭირავს?! ხომ ვერაფერი შეამჩნიეთ?!

– პრაქტიკულად, სპეცოპერაცია მოუწყვეს ოქრუაშვილს და ისე დააკავეს. ამას როგორ ხსნით?

– დადგეს ეს, ლაშქარი შემოგვისიეს და რა კომენტარი უნდა გავაკეთო?! ეს კაცი, ივანიშვილი, ვერ არის ჯანზე და სანამ მისი ოჯახის წევრები არ წაიყვანენ „საგიჟეთში“, მანამ ვერ მივხვდებით, რაშია საქმე.

– გგონიათ, რომ ასე მძიმედ არის საქმე?

– ვერ ატყობთ, რომ ასეა?! ვერ ატყობთ მის რეაქციებს? 20 ივნისის სისხლიან ღამეზე ამბობს, მეძინაო. ჯერ ერთი, ტყუილს ამბობს, არ სძინებია და ეს ყველაფერი მისი ბრძანებით მოხდა, მაგრამ, კაცი ამას რომ იტყვის, ღამე მეძინაო, ეს ნორმალურია? შეიძლებოდა, ქართველ კაცს იმ ღამეს სძინებოდა, იმ ფონზე, რაც მაშინ რუსთაველზე ხდებოდა?! ერთი სიტყვით, ვერ არის ჯანზე! ეს არის ჩვენი ქვეყნისთვის სახიფათო.

– როდესაც ამბობს, ღამე მეძინაო, ეს ალიბი ჰგონია?

– მას ჰგონია ალიბი და ეს უარესია მისთვის.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ამერიკა ივანიშვილს ანგარიშებს გაუყინავს“

გიორგი გუგავა: „სისხლით მოპოვებულ დამოუკიდებლობას ამ ვიგინდარებს ვერ შევწირავთ“

შორენა მარსაგიშვილი

„ქვეყანა თავზე გვემხობა და პრეზიდენტმა ატმის დაკრეფა მოინდომა“

რა სანქციებს აამოქმედებს დასავლეთი ივანიშვილის წინააღმდეგ, რატომ ასრულებს „ოცნება“ მყისიერად მოსკოვის დავალებებს, დათმობს თუ არა საქართველო დამოუკიდებლობას? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა ესაუბრება.

გიორგი გუგავა:

– ქვეყანაში უმძიმესი სოციალური მდგომარეობაა, დაწყებულია რეპრესიები, ებრძვიან თავისუფალ სიტყვას, ყიდიან ქართულ მიწებს, გვიცვლიან საგარეო ორიენტირებს და გვაბარებენ რუსეთს.

ეროვნული ვალუტა, ფაქტობრივად, გარდაიცვალა. ეს ისედაც გაჭირვებულ მოსახლეობას კიდევ უფრო მძიმე დღეში ჩააგდებს. ამ დროს ქვეყნის პრეზიდენტი ატმის კრეფით არის დაკავებული. ეს ყველაფერზე მეტყველებს.

ამ ქალის ქცევას ზუსტად შეესაბამება ერთი ქართული ანდაზა – ქვეყანა იქცეოდა და ტურას ქორწილი ჰქონდაო.

ვერანაირ ახსნას ვერ ვუძებნი, თუ როგორ მოიცალა ამ მძიმე დროს სალომე ზურაბიშვილმა ხილის საკრეფად.

– ეტყობა, ერთგვარი ნოსტალგია აქვს – პრეზიდენტი ხახვისა და კარტოფილის წყალობით გახდა და ატამს მიეძალა.

– ატმის ამბავი, ეტყობა, მართლა მაგ თემაში ზის, სხვა ახსნა, უბრალოდ, არ მაქვს.

– ამის ამოხსნა იოლი არ იქნება და სხვა თემაზე გადავიდეთ. პოლიტიკური რეპრესიები დაიწყოო, ამბობთ, ხელისუფლება კი გვეუბნება, რეპრესიები ჩვენი ხელწერა არ არისო.

– არც აქციის დაშლა იყო მათი სტილი, მაგრამ ბავშვებს თვალები დასთხარეს. ზუსტად ასევე არ არის მათი სტილი რეპრესიებიც, ეგენი რასაც ამბობენ, ყველაფერი უკუღმა უნდა ითარგმნოს.

როდესაც პოლიტიკურ ოპონენტებსა და ანტისაოკუპაციო აქციის მონაწილეებს იჭერ, რომლებიც ქვეყნის ღირსებას იცავენ, რეპრესიებია, აბა, რა არის.

კონსტიტუციური წესრიგი თავად ხელისუფლებამ გათელა ფეხქვეშ, როცა ქვეყნის სუვერენიტეტი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

ივანიშვილმა ოპონენტებზე ნადირობა ერთი მიზნით დაიწყო – მას სურს ქვეყანაში დიქტატურის დამყარება. ეს მითითება კრემლიდან მიიღო.

ეს ვაჟბატონი თავისი ჭკუით ფიქრობს, რომ ამ ძალადობრივი მეთოდებით შეძლებს ქვეყანაში წესრიგის დამყარებას. ეს არ გამოუვა და ძალიან მძიმედ დაამთავრებს.

– მძიმედ დამთავრებაში რას გულისხმობთ?

– დიქტატურის გზიდან თუ არ გადაუხვევს, ყველაფერს დაკარგავს.

– თქვენი პარტიის ლიდერმა, შალვა ნათელაშვილმა, ოფიციალურად მიმართა აშშ-ს, აამოქმედოს სანქციები ივანიშვილის წინააღმდეგ. წავა დასავლეთი ამაზე?

– მე ვფიქრობ, რომ ჩვენი დასავლელი პარტნიორები აუცილებლად აამოქმედებენ სანქციებს ოლიგარქის წინააღმდეგ. ეს არის ერთადერთი ბერკეტი პუტინის ხელისბიჭის შესაჩერებლად.

სანქციების გარდა, ის სხვა შანსს, უბრალოდ, არ ტოვებს. არა მგონია, დასავლეთი ასე იოლად შეეგუოს იმას, რაც ანაკლიის პორტთან დაკავშირებით ხდება. ივანიშვილი ყველაფერს აკეთებს, რომ გეოპოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ობიექტის მშენებლობა გააჩეროს. არადა, ეს პორტი ჩვენი სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვის ერთ-ერთი მთავარი გარანტი უნდა იყოს.

უკვე ყველასთვის ნათელია, რომ დაწყებულია საქართველოს რუსეთის გუბერნიად გადაქცევის პროცესი. ამის შეჩერება დასავლეთს შეუძლია. ამერიკაში ისედაც მომზადებულია უკვე პროექტი, რომლის მიხედვითაც მოხდება რუსი ოლიგარქის აქტივების გაყინვა.

– ეს პროექტი რამდენიმე წლის წინ არის მომზადებული, მაგრამ დასავლეთი არ ჩქარობს ივანიშვილისთვის სანქციების დაწესებას.

– ეს მხოლოდ დროის ამბავია. ადრე იქნება თუ გვიან, ამერიკა „ოცნების“ ლიდერის წინააღმდეგ სანქციებს აამოქმედებს. ამერიკის საელჩოს ბოლო განცხადება უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს.

– ამ განცხადების გამო „ოცნება“ გაცეცხლდა. ერთმა პარლამენტარმა აშშ-სგან ლამის ახსნა-განმარტებები მოითხოვა. არადა, ეს კაცი, „ოცნების“ სხვა დეპუტატებთან ერთად, მდუმარედ უსმენდა, როგორ მიგვითითებდა მოსკოვი, ასე და ასე მოიქეცითო. ამას რა ახსნას უძებნით?

– ჩემთვის ეს ამბავი სულაც არ არის გასაოცარი. როდესაც თბილისში საოკუპაციო მეტროპოლიის რეჟიმი გვიზის, იქ რა უნდა გაგვიკვირდეს? „ოცნება“ და მისი ლიდერი პირდაპირ ემსახურებიან კრემლის ინტერესებს.

პუტინმა ივანიშვილი აქ მხოლოდ ერთი მიზნით დაგვისვა – დააბრუნონ საქართველოს რუსულ წიაღში. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ გაუქმდეს ქართული სახელმწიფოებრიობა.

დღეს საქართველოს ყველაზე დიდი მტერი ივანიშვილის ხელისუფლებაა, რომელიც პირნათლად ორჯონიკიძეობს და ფილიპემახარაძეობს. ერთი სული აქვთ, როდის დაკარგავს ეს ქვეყანა სახელმწიფოებრიობას.

ამას მთელი საქართველო უნდა დაუპირისპირდეს – სისხლით მოპოვებულ დამოუკიდებლობას ამ ვიგინდარებს ვერ შევწირავთ.

ამის უფლება, უბრალოდ, არ გვაქვს!

მეგი გოცირიძე: „მხოლოდ ლარის გაუფასურებას რატომ გვაბრალებთ, მკვდარი ზღვაც ნაციონალებმა მოვკალით“

„ლარს გაფერადება კი არა, გამყარება უნდოდა“

შორენა მარსაგიშვილი

რა კავშირი აქვთ ლარის გაუფასურებასთან ნაციონალებს, რატომ ვერ გადის ქვეყნიდან ივანიშვილი, ვინ შეძლებს მის დაწყნარებას? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ პარლამენტის ყოფილი წევრი **მეგი გოცირიძე** ესაუბრება.

– მთავრობის მეთაურმა განაცხადა, რომ ეროვნული ვალუტის გაუფასურება ნაციონალური მოძრაობის ბრალია. ამაზე რა კომენტარს გააკეთებდით?

– ამ კითხვაზე მარტივად გიპასუხებთ, რომ ლარს გაფერადება კი არა, გამყარება უნდოდა. ესენი კიდევ მიადგნენ და ლარი გააფერადეს.

ნიკა მელიასა და ირაკლი ოქრუაშვილის დაჭერას სჯობდა, ლარი დაეჭირათ ამ უბედურებს, იქნებ როგორმე გადარჩენილიყვნენ.

აი, ეს არის ჩემი პასუხი ამ კითხვაზე და, ძალიან გთხოვთ, მეორედ პრემიერის განცხადებებზე კომენტარს ნუ გამაკეთებინებთ. იმდენად არაფერს წარმოადგენს ქვეყანაში, რომ გვარიც კი არ მახსოვს მისი.

– მისი გვარი ბახტაძეა, მაგრამ ვითომ მართლა არ გახსოვდათ გვარი?

– რატომ უნდა მახსოვდეს, წარმოადგენს რამეს? ამ გაუნათლებლის აზრით, ყველაფერი ჩვენი ბრალი ყოფილა. ასეთი საშინელი ძალა თუ ვიყავით, რატომ შემოგვწირა 2012 წელს ათეულობით ათასი ლარი იმისთვის, რომ არჩევნები მოგვეგო?!

– გვარი არ მახსოვსო და ფულის შემოწირვა რანაირად დაიმახსოვრეთ?

– სხვაც ბევრი რამე მაქვს დამახსოვრებული. ამიტომ, ჯობია, ქოცებმა ენას კბილი დააჭირონ. ჩვენ შეგვიძლია, მათზე სიმართლე ვილაპარაკოთ, ისინი კი ათას სისულელეს იგონებენ.

– აშკარაა, რომ მათი განცხადებები გაღიზიანებთ.

– სრულებითაც არ ვღიზიანდები, მათი ნებისმიერი განცხადება სასაცილოა. იმდენად არასერიოზულები არიან, რომ ყოველი მათი სიტყვა არასერიოზულად აღიქმება.

მითხარით, როგორ აღვიქვა სერიოზულად ხალხი, რომლებმაც დიპლომიც კი გააუქმეს.

– რას ნიშნავს, დიპლომი გააუქმეს?

– იმისათვის, რომ საჯარო სამსახურში მუშაობა დაიწყო, არაა აუცილებელი, უმაღლესი განათლება გქონდეს.

ასეთი ხალხის განცხადებებზე როგორ უნდა გავბრაზდე? ტიპები თავად არიან სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდნილი.

ამათ უკვე დიდი ხანია, ხალხი დასცინის. მეც გავიცინებდი, მაგრამ არ შემიძლია, რადგან ვხედავ, თუ როგორ ანგრევენ სისულელეებით ქვეყანას.

7 წელია, რაც „ოცნება“ ქვეყნის სათავეშია, მაგრამ ამ დროში არაფერი გაუკეთებიათ. ერთადერთი, რაც მოახერხეს, ისაა, რომ ნაციონალების ოპოზიციაში არიან.

ერთ მსხვილ პროექტსაც ვერ დამისახელებთ, რომელიც ამათ განახორციელეს. ჩვენი დაწყებული პროექტებიც გააჩერეს, ახალს როგორ დაიწყებდნენ.

ხალხს დაპირებებიც კი არ შეუსრულეს. იმდენად თავხედები არიან, ამტკიცებენ, იმაზე ბევრი ქარხანა გავხსენით, ვიდრე დაგპირდითო. სადაა ეს ქარხნები, ხომ შეიძლება, ვინმე მადლიანმა მაჩვენოს.

იმ დროს, როცა ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობა იყო, მართლა იხსნებოდა საწარმოები.

– ამბობენ, რომ მაშინ სააკაშვილი ერთსა და იმავე საწარმოს რამდენიმეჯერ ხსნიდა და ამიტომ ჩანდა, რომ ბევრი საწარმო იხსნებოდა.

– რამდენიმეჯერ არა, ორჯერ ხსნიდა ერთ საწარმოსო, ასე ამბობენ. ამათ ერთხელ მაინც რატომ ვერ გახსნეს?! ერთი საწარმოს გახსნაზე მაინც გაეჭრათ წითელი ლენტი.

იმ ადგილზე რომ მიხვიდეთ, საიდანაც საბერძნეთის მიმართულებით გადის ავტობუსები, შეიძლება, გული გაგისკდეთ, ყოველდღე ასეულობით ადამიანი მიდის მარტო ამ ქვეყანაში. ხალხი გარბის საქართველოდან, გესმით?!

მას შემდეგ, რაც „ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, მილიონზე მეტი ადამიანი გაიქცა საქართველოდან. ფაქტობრივად, ამ ქვეყანაში შრომისუნარიანი ადამიანი აღარ დარჩა – ყველა გარბის.

სოფლებში რომ წახვიდეთ, გადაირევით, ნახავთ, რომ ზოგან ორი და სამი კომლიც აღარ ცხოვრობს.

შვიდი წელია, ესენი არიან ხელისუფლებაში, ამათ გააქციეს ხალხი და დააქციეს ქვეყანა. იმის მაგივრად, რომ სინანული ჰქონდეთ, აქეთ ჩვენკენ იშვერენ ხელს.

ასე ძალიან თუ უნდათ, დავიბრალებთ ჩვენს თავზე ყველაფერს – ლარიც ჩვენ გავაუფასურეთ, კენედი მიშა სააკაშვილმა მოკლა, მკვდარი ზღვაც ზედ დააყოლა.

ეს რომ არ იკმარა, წყნარი ოკეანე დააწყნარა და ახლა ივანიშვილს უპირებს პოლიტიკურად დაწყნარებას.

– ამას დიდი ხანია აპირებს, მაგრამ შეძლებს ვითომ ივანიშვილის პოლიტიკურად დაწყნარებას?

– რა თქმა უნდა! რა თქმა უნდა! ასე აშლილი რომ არის ახლა ეს ხიხო ოლიგარქი, ეგ ნამდვილად სააკაშვილის დამსახურებაა.

– რას გულისხმობთ?

– კაცი საქართველოდან 2013 წლის ნოემბერში წავიდა და, იქიდან მოყოლებული, ივანიშვილი სულ მის აჩრდილს დასდევს, მიშას აჩრდილს დასდევს და ეტოლება.

აჩრდილს დასდევს, მაგრამ გული უსკდება, ვინმემ საქართველოში სააკაშვილის ექსტრადირება არ მოახდინოს.

არ გახსოვთ, რა მოხდა რამდენიმე წლის წინ, პოროშენკომ რომ დაიჭირა მიშა და აქ უნდოდა მისი ექსტრადირება? კინაღამ გაგიჟდა ბიძინა, კიევს ოფიციალურად განუცხადა, იმ თვითმფრინავს საქართველოში არ დავსვამთ, სადაც მიშა ზისო.

მთელი ის პერიოდი, სანამ მიშას ჰაერში დაატარებდნენ, ოლიგარქი აქ შიშისგან კანკალებდა.

– კანკალებდა ვითომ?

– ეგ ახლაც კანკალებს, თან ისე, რომ ვიღაც შამანები ჩამოჰყავს და რაღაც რიტუალებს ასრულებს.

– რა რიტუალებს?

– რანაირად გითხრათ, მაგის სექტის წევრი ხომ არ ვარ, რომ რიტუალებში ვერკვეოდე.

ქვეყანაში უბედურება უბედურებაზე ხდება, სახელმწიფო ჩამოგვეშალა და ამ დროს ოჯახის სიწმინდის დაცვაზე ლაპარაკობენ.

გაეროს კვლევებით დადგენილია, რომ საქართველოში ბავშვები შიმშილით იხოცებიან. იმავე გაეროს მიერ არის დადგენილი, რომ აქ ყოველი მეხუთე ბავშვი შიმშილობს.

ამ დროს ბიძინა ივანიშვილი ლემურების, თახვებისა და ზებრების საჭმელში დღეში ათეულობით ათას ლარს ხარჯავს.

– რას აჭმევს ამისთანას?

– საფრანგეთიდან ჩამოაქვს მათთვის სპეციალური საკვები. ასეთ ადამიანზე სერიოზულად როგორ ვილაპარაკო, არ მესმის. კაცი ხეებს აქეთ-იქით დაათრევს, რომ რაც შეიძლება დიდხანს იცოცხლოს.

დიდი მეცენატები ცდილობენ, პოლიტიკაში არ შევიდნენ. არ უნდათ, რომ მათი ქველმოქმედება ეჭვქვეშ დადგეს. ეს შემოვარდა პოლიტიკაში და წასვლას არ აპირებს.

ახლა ძალიან მაინტერესებს, სად არის მისი დაპირებული უფასო ფული და სისხლიანი საფერფლე.

– რა სისხლიანი საფერფლე?

– ხელისუფლებაში მოსვლამდე ხომ ამტკიცებდნენ, მიშამ ჟვანიას თავში საფერფლე ჩაარტყა და ასე მოკლაო. სისხლიანი საფერფლე დაიდოს!

სად არის განახევრებული ტარიფები? სინამდვილეში რომ გაგვისამმაგეს და კიდევ უპირებენ გაზრდას.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„ოქრუაშვილი ციხეში თუ ღირსეულად ჩაჯდება, ამით მხოლოდ ქულებს დაიწერს“

პაატა ზაქარეიშვილი: „ხაზარაძისა და ჯაფარიძის ადგილზე ციხეში ჩავჯდებოდი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი** პასუხობს.

– ბატონო პაატა, როგორია ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების თქვენეული შეფასება?

– ზოგადად საინტერესო პროცესები ხდება. „ქართულ ოცნებას“ წარმოდგენაც არა აქვს, რას აკეთებს, საერთოდ არა აქვს პოლიტიკური ალღო, გათვალოს სიტუაცია მის სასარგებლოდ. ქვეყანაზე რომ არ ფიქრობს, ეს უკვე დიდი ხანია, ნათელია. ყველა ფიქრობს თავისი თავის გადარჩენაზე. „ქართული ოცნება“ კი საკუთარ თავზეც ვერ ზრუნავს და აშკარად უკვე აორთქლების სუნი ასდის, რომ ორთქლდება და ქრება, როგორც გაქრა მრგვალი მაგიდა, როგორც გაქრა აღორძინება, როგორც გაქრა მოქალაქეთა კავშირი.

აი, ამ ტიპის აორთქლების პროცესი დაეწყო „ქართულ ოცნებას“. ამ სუნს, ამ ოხშივარს ყველა გრძნობს, ამიტომ ყველა იმუხტება და ცდილობს, ეს ვითარება გამოიყენოს თავის სასარგებლოდ.

დღეს ირაკლი ოქრუაშვილის მხარეს უფრო არის სიმპათიები, ვიდრე „ქართული ოცნების“ მხარეს

– დაპატიმრებების სერიაზე რას იტყვით?

– დაპატიმრებების სერია მხოლოდ ანგრევს მათ. ეს უგუნურებაა. დღეს ირაკლი ოქრუაშვილის მხარეს უფრო არის სიმპათიები, ვიდრე „ქართული ოცნების“ მხარეს.

კი მაგრამ, მელია რომ დააპატიმრეს პარლამენტში შეჭრის მცდელობის ბრალდებით, მაშინ ოქრუაშვილიც ხომ იქ იყო, მაშინ რატომ არ ამოიღეს ხმა ოქრუაშვილზე?! ახლა აღმოაჩინეს ეს კადრები?!

– ჩნდება ვარაუდები, რომ რადგან ოქრუაშვილი რუსთავი 2-თან დაკავშირებით გააქტიურდა, სწორედ ამ თემას უკავშირდება მისი დაკავებაც.

– დიახ, მან შექმნა პარტია, ასე თუ ისე, ფეხზე დადგა, ჭორაობის დონეზე, მაგრამ სიმართლის ლაპარაკი დაიწყო, რუსთავი 2-თან დაკავშირებით თავისი პრეტენზიები წამოაყენა და უცბად გაახსენდათ ეს კადრები.

ასეთი მოქმედებები მხოლოდ აძლიერებს „ოცნების“ ოპონენტებს. თუ ოქრუაშვილს არ შეეშინდება ამ ციხის, როგორც თავის დროზე შეეშინდა, სააკაშვილის დროს და კარგად ჩაჯდება...

– კარგად ჩაჯდომაში რა იგულისხმება?

– ანუ კარგად როგორ, არ წავა გარიგებაზე, ის ამით მხოლოდ ქულებს ჩაიწერს.

მე ბუნებით ავანტიურისტი ვარ, ხაზარაძის ადგილზე, რომელსაც, ოქრუაშვილისგან განსხვავებით, დიდ პატივს ვცემ, ასევე ჯაფარიძესაც, მათ ადგილზე ფულს არ გადავიხდიდი და ციხეში ჩავჯდებოდი.

ამით მხოლოდ მოიგებენ და ძალიან სერიოზულად დააზარალებენ „ქართული ოცნების“ პერსპექტივებს. თუ პოლიტიკაში მოდიან, მაშინ პოლიტიკური თამაშის წესებით ითამაშონ.

ამიტომ, ვისაც დაიჭერენ, ყველა უნდა წავიდეს ციხეში და არ უნდა დაიწყოს გარიგება პროკურატურასთან, ციხეში ვერაფერს დაუშავებენ, სამაგიეროდ, სერიოზულად გაზრდიან თავიანთ ავტორიტეტსა და პერსპექტივებს სამომავლოდ.

– ანუ ციხე პოლიტიკურად მათთვის მომგებიანი იქნება?

– ცალსახად მომგებიანი იქნება. ამაში ორი აზრი არ არსებობს, ხოლო თუ წავლენ გარიგებაზე პროკურატურასთან, ამით შეატყობინებენ საზოგადოებას, რომ რაღაცაში მართლები არ არიან.

მე მართალი ვარ და არ მეშინია ციხის – აი, ეს პოზიცია უნდა ჰქონდეთ, ვიდრე ის, რომ კარგი, მოვდივარ თანამშრომლობაზე.

– ბოლო პერიოდში შეცდომას შეცდომაზე უშვებენ. რატომ აიჭრა ასე ძალიან ხელისუფლება?

– ბოლო პერიოდში კი არა, სულ შეცდომას შეცდომაზე უშვებენ. მას შემდეგ, რაც დაშალეს კოალიცია, რაც ჩათვალეს 2016 წელს, რომ თვითონ მართავენ სახელმწიფოს და რად უნდათ კოალიცია, რაც გაკრიფეს შუა, მას შემდეგ შეცდომას შეცდომაზე უშვებენ. არც ერთხელ არ გადაუდგამთ სწორი ნაბიჯი.

– კიდევ თუ ელოდებით ოპოზიციონერი ლიდერების დაპატიმრებას?

– იმდენად ორი დიდი შეცდომა დაუშვეს ხაზარაძისა და ოქრუაშვილის მიმართულებით, რომ მათი მხრიდან შტერული ნაბიჯების გადადგმას არც მომავალში გამოვრიცხავ.

– ანუ თქვენც ამ პოზიციაზე ხართ, რომ ოქრუაშვილის დაკავება არ უკავშირდება 20-21 ივნისის მოვლენებს?

– რა თქმა უნდა. ასე რომ ყოფილიყო, როცა მელია აიყვანეს, მაშინ აიყვანდნენ ოქრუაშვილსაც. ამ პროცესებით დადასტურდა, რომ მათთვის სამართალი და სახელმწიფო ინსტიტუტების დაცვა კი არ არის მთავარი, არამედ მათი ხელისუფლებაში ყოფნის სურვილი და სიწუწკე.

– ვერ ახერხებს ხელისუფლება საკუთარი ზრახვების შენიღბვას?

– ვერ ახერხებენ, ამის ნიჭი და უნარიც კი არ აქვთ. ძალიან პატარები არიან და ძალიან გული მწყდება, რომ აღარავინ შემორჩათ გარშემო, ვინც ეტყვის, ხალხო, რას აკეთებთ, ეს ხომ ჩვენ წინააღმდეგ მუშაობს?! ეს ხომ გვასამარებს, როგორ შეიძლება ასეთი რამეების კეთება?!

– აღარ შემორჩა ივანიშვილს მრჩევლები?

– არა, რა თქმა უნდა. მას შემდეგ, რაც ბესელიას გუნდი წამოვიდა, იქ მხოლოდ მედროვე და ფარისეველი ხალხი დარჩა, რომლებიც ივანიშვილს ხელსა და პირში შეჰყურებენ.

დღეს ოპოზიცია სცოდავს იმაში, რომ ყველაფერს ივანიშვილს აბრალებს. როგორც ჩანს, მას ძალიან ცუდი მრჩევლები ჰყავს. არ მჯერა, რომ პანკისში სპეცრაზმის შეყვანის ბრძანება მან გასცა, არც ის მჯერა, რომ 20 ივნისის დარბევის ბრძანება მან გასცა, მაგრამ ნებართვა, რომ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე ხაზარაძისა და ჯაფარიძის წინააღმდეგ, ივანიშვილის გარეშე ვერ გაიცემოდა.

– როგორი შემოდგომა გველოდება?

– საკმაოდ საინტერესო შემოდგომა გველოდება. ყველაზე მეტად რისიც მეშინია, არის ის, რომ არ დავკარგოთ პროპორციული არჩევნების იდეა, რომ ამ არეულობაში, ამ ქაოსში „ოცნებამ“ არ დაასამაროს პროპორციული არჩევნების იდეა.

– ამის ინიციატორი ხომ თავად არის?

– მან ეს გადმოაგდო, როგორც ბარტყი, რათა ამით დაეშოშმინებინა სიტუაცია. ვერ დააშოშმინა სიტუაცია. ოპოზიციამ ვერ მიიღო ეს ინფორმაცია. შესაბამისად, ამან ტემპერატურა ასწია. ამიტომ ლოგიკურად ორივეს აწყობს რაღაც სხვა და ეს სხვა არის ის, რომ რა დროს პროპორციული არჩევნებია, მოდით, ისევ ვადამდელზე ვილაპარაკოთ, ოღონდ – ძველი სისტემით.

აი, ყველაზე მეტად ამის მეშინია, რომ ორივე რადიკალურმა მხარემ არ თქვას, რად გვინდა ამდენი ნაყარნუყარი პარტია პარლამენტში და მოდით, გავიყოთ პარლამენტი, როგორც აქამდე იყო, ნახევარი მე და ნახევარი – შენ.

ეს მავანს აწყობს და ამ შემთხვევაში დასჭირდებათ ვადამდელი არჩევნები. ამიტომ არის ეს ქაოსი, ჩიხში შედის სიტუაცია, რათა ამით გაამართლონ ვადამდელი არჩევნები შერეული სისტემით.

თამაზ მეჭიაური: „მცხეთა-მთიანეთის განვითარების ხელისშემშლელი მიზეზი დღემდე ზაქარია ქუცნაშვილის არაფორმალური მმართველობაა“

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ტურიზმის განვითარებაა, საქართველოს რეგიონებში დღემდე მოუგვარებელია ცხოვრებისთვის პირველადი და აუცილებელი საკითხები – გზა, ინფრასტრუქტურა, წყალი, გაზი – ეს ყველაფერი ტურისტულად მიმზიდველ მცხეთა-თიანეთის რეგიონში ან საერთოდ არ არსებობს, ან მხოლოდ ნახევრადაა ხელმისაწვდომი. საუბარი ზედმეტია ტურიზმის გასავითარებლად აუცილებელ მშენებლობაზე, კვების ობიექტებზე, სასტუმროებსა თუ შესაბამის მომსახურებაზე.

„კომერსანტი“ ამჯერად თიანეთისა და სიონის ტბის ტურისტული პერსპექტივით დაინტერესდა.

როგორც თიანეთის მერი თამაზ მეჭიაური აცხადებს, მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტში გარკვეული სახის ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება, მათ შორის ძირითადად გზებისა და წყალარინების მიმართულებით, საჭირო ტემპი და ხელშეწყობა მაინც არ ჩანს. ამ ყველაფერში კი თამაზ მეჭიაური კვლავ, მცხეთა-მთიანეთის მაჟორიტარს ზაქარია ქუცნაშვილს ადანაშაულებს, რომელიც, მიუხედავად პარლამენტის საპროცედურო კომიტეტის გადაწყვეტილებისა, ჯერ კიდევ ინარჩუნებს სადეპუტატო მანდატს. თიანეთი მერის თქმით, ქუცნაშვილი ხელისუფლებაში მყოფი გავლენიანი პირების საშუალებით, ისევ რეგიონის განვითარების მთავარი ხელის შემშლელია:

– წინა ზაფხულის სეზონთან შედარებით წელს რამდენიმე პროექტი განვახორციელეთ, მათ შორის ორი მთავარი გზა მოასფალტდა და ცენტრალურ კაშხლამდე ახლა უპრობლემოდაა შესაძლებელი გადაადგილება. ასევე დავამონტაჟეთ განათება. მიტაცებულ მიწებზე განთავსებული უკანონო ჯიხურები ავიღეთ, ხოლო ვისაც უსახური სივრცეები ჰქონდა პროდუქციის გასაყიდად, მათ ამ საკითხის მოგვარებისთვის გონივრული ვადა მივეცით. ეს ყველაფერი იმ მიზნით, რომ ტურისტულად უფრო მიმზიდველი გახდეს აღნიშნული ლოკაცია და ადგილობრივი მოსახლეობაც უფრო კომფორტულად იყოს. მაქსიმალურად ვცდილობთ არსებული ძველი ტექნიკის პირობებში შევინარჩუნოთ სისუფთავეც, მაგრამ ზაქარია ქუცნაშვილი და მისი გუნდი ისევ მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორია ჩვენთვის.

როგორც თამაზ მეჭიაური აღნიშნავს, ამ წლების განმავლობაში ქუცნაშვილმა მოახერხა რეგიონი საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ გაენადგურებინა და ახლაც იგივე გრძელდება:

– ქუცნაშვილის სული ჯერ კიდევ ტრიალებს მცხეთა-მთიანეთში, ჯერ ვერ გავიწმინდეთ მისგან და მისი კადრებისგან. გრძელდება დესტრუქციული ქმედებებიც და მოსახლეობაში დეზინფორმაციის გავრცელება, თითქოს ჩვენ არაფერს ვაკეთებთ. არადა, ბოლო წლებში მის მიერ ვითომ განხორციელებული პროექტებიდან დღემდე არც ერთი არაა დასრულებული. არსებობს მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტები, ფული მოხსნილია, მაგრამ პროექტები უსარგებლოა. მაგალითად, საბავშვო ბაღები, სადაც რბილად რომ ვთქვათ, ბავშვის მიყვანა დაუშვებელია უხარისხო მშენებლობის გამო. ასევე 2016-17 წლებში აშენებული ადმინისტრაციული შენობები, სადაც არასდროს არავინ შესულა. სამაგიეროდ, თავისთვის აიშენა სასახლეები. მოკლედ, ქუცნაშვილმა ბევრი ცუდი რამ გააკეთა, ათასობით ღარი ბიუჯეტიდან გაიფლანგა და ხალხი დაზარალებული დარჩა. აღნიშნულს შესაბამისი ორგანოები იძიებენ, მაგრამ ძალიან ნელ ტემპში. როგორც ჩანს, ზაქარია ქუცნაშვილს კიდევ ჰყავს მფარველები ხელისუფლებაში. ეს გარემოება თავის მხრივ ჩვენ ხელს გვიშლის უფრო აქტიურად განვახორციელოთ პროექტები, რადგან ვერ ვასწორეთ ამ პრობლემებს, სანამ იდეაში გამოძიება მიმდინარეობს.

რაც შეეხება დღევანდელ გამოწვევებს, თამაზ მეჭიაურისთვის წყალმომარაგების მიმართულება ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. მის გარეშე ვერც ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება და ვერც სხვა დაგეგმილი ღონისძიებები. ამიტომ. პირველ რიგში, მოლაპარაკებები ცენტრალურ ხელისუფლებასთან ამ კუთხით მიმდინარეობს:

– გარდა ამისა, კიდევ ბევრი რამის გაკეთებას ვგეგმავთ და ვცდილობთ თანხების მოძიებას. მაგალითად, საზაფხულო ღია ესტრადის მოწყობა კონცერტებისა და ფესტივალებისთვის. ასევე სიონის მარცხენა სანაპიროს გზის გაყვანა. მარჯვენა მხარეს დიდი ნაწილი ზაზა ფაჩულიამ შეისყიდა და მასშტაბური დასასვენებელ-გამაჯანსაღებელი ცენტრის აშენებას აპირებს. ეს ყველაფერი ჯამში, სიონის მიმდინარე ტერიტორიას უფრო მიმზიდველს გახდის და ტურისტიც უფრო მეტი ჩამოვა. მთავარია, მოგვეცეს შესაძლებლობა, – ამბობს თიანეთის მერი.

თიანეთის მერს გეგმები აქვს თიანეთის მხარესთან დაკავშირებითაც. ცნობილია, რომ წელს მთავრდება ახმეტა-თიანეთის გზის რეაბილიტაციას გეგმა, რაც საბოლოოდ ლოკაციას უფრო მოქნილს გახდის, ანუ კახეთიდან თიანეთის მიმართულებით და შემდგომ უკვე ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლა მგზავრებს უფრო სწრაფად და ადვილად შეეძლებათ. საერთო ჯამში, პროექტი საცობებს განტვირთავს თბილისშიც, რადგან კახეთიდან და აზერბაიჯანიდან ავტომობილების ნაკადი დედაქალაქის ნაცვლად ახმეტისკენ გადაინაცვლებს.

– ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ თიანეთს მიეცემა ახალი დატვირთვა. როდესაც გაკეთდება გზა, მეტი სტიმული გაჩნდება ადგილობრივებმა და სხვა ბიზნესმენებმა აქ ააშენონ სასტუმროები. გარდა ბუნებისა და უამრავი სანახაობისა, დასვენებაც ბევრად იაფია, ვიდრე მცხეთაში ან კახეთში. ამიტომ ვინც აქ დაისვენებს, მისთვის უფრო იაფი დაჯდება მაგალითად ერთდღიანი ტურების მოწყობა ახლოს მდებარე ღირსშესანიშნავ ადგილებში. მოკლედ, გეგმა ბევრია და ძალიან დიდი იმედი გვაქვს ყველაფერი დროში სწრაფად და ხარისხიანად განვითარდება.

შეგახსენებთ, ეკონომიკური თვალსაზრისით მცხეთა-მთიანეთი ძირითადად სასოფლო-სამეურნეო მხარეს წარმოადგენს, სადაც გამოიყოფა მეცხოველეობის (ახალგორი, თიანეთი, დუშეთი, ყაზბეგი) და მებოსტნეობა-მებაღეობის რაიონები (მცხეთა, ნაწილობრივ დუშეთი). საქართველოს სამხედრო გზაც სწორედ ამ რეგიონზე გადის – რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი ერთადერთი მაგისტრალი ამჟამად. სამრეწველო ობიექტები თავმოყრილია მცხეთასა და დუშეთში. მხარეში მდებარეობს ქვეყნის მთავარი სამთო-სათხილამურო კურორტი გუდაური.

მეგი გოცირიძე: „მხოლოდ ლარის გაუფასურებას რატომ გვაბრალებთ, მკვდარი ზღვაც ნაციონალებმა მოვკალით“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ტიპი გვთხოვდა, ხმა მომეცით, მშვიდობის ხიდი უნდა დავანგრიოთო. თუ კარგად მახსოვს, ბუდა-ბარისა და კაზინო შანგრილას დანგრევასაც აპირებდა. შანგრილა საპატრიარქოს გვერდითაა, ბუდა-ბარი – მოპირდაპირედ. სანამ ხელისუფლებაში მოვიდოდნენ, ქოცები ამტკიცებდნენ, ერთი ცოდვის ბუდეა, მეორე გარყვნილებს და საპატრიარქოს სიახლოვეს მათი დატოვება არ შეიძლებაო.

– საპატრიარქოს გვერდზე კაზინოს არსებობა ცოტა უცნაური ამბავია.

– უცნაურია, მაგრამ ხომ აშენდა? რატომ არავინ ითხოვს დღეს მის დანგრევას? ქოცების მოსვლის შემდეგ გახდა კაზინო განსაწმენდელი თუ საპატრიარქო გადაიტანეს სადმე სხვაგან?!

ამდენი სიბინძურით მოვიდა ადამიანი და მისგან სიკეთეს როგორ ელოდებით. იმდენი ცოდვა აქვს ჩადენილი, რომ სიკვდილის შიში კლავს.

– სიკვდილის ყველას ეშინია, მათ შორის უცოდველებსაც.

– ამ მანიაკს ბუნებრივი სიკვდილის არ ეშინია. მას იმდენი ვიღაც ჰყავს გადაგდებული, ეშინია, არ მოკლან.

თქვენი აზრით, საქართველოდან იმიტომ ვერსად გადის, რომ ამ ჰაერის გარეშე არ შეუძლია? არსად არ წაესვლება. ყველგან ხალხი ჰყავს გამწარებული და ეშინია, არ მოკლან. ხუმრობის გარეშე გეუბნებით, ისე ეშინია, აკანკალებს. ამ შიშმა გააბოროტა და მხოლოდ ბოროტებას ჩადის.

თავისი ადვოკატი მთავარ პროკურორად დაგვისვა, რომ ვინმემ მის წინააღმდეგ საქმე არ აღძრას. პირადი მცველი სახელმწიფო დაცვის სამსახურის უფროსად დანიშნა, რომ ვინმე არ შემოვიდეს და მასზე შური არ იძიოს.

ეს შრომა და ხეების თრევა სულ ამაოდ ჩაუვლის. ამ ბოროტმოქმედზე შურს კანონი იძიებს.

გიგა ბუკია: „სააკაშვილმა ბინა რომ წამართვა, საბუთზე ნიკანორ მელიას ხელმოწერა იყო“

„ოქრუაშვილი და ხაზარაძე წინასწარ ალიბის იქმნიდნენ“

მარიამ მჭედლიშვილი

რატომ დააკავეს „გამარჯვებული საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ირაკლი ოქრუაშვილი? რატომ წარუდგინეს მაინცდამაინც ახლა ბრალი ბიზნესმენებს მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს? ემუქრება თუ არა ჩაგდება პარლამენტში ნულოვანი ბარიერისა და პროპორციული სისტემის ინიციატივას? ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პარლამენტის უმრავლესობის „კონსერვატორების“ ფრაქციის თავმჯდომარე **გიგა ბუკიას.**

– ირაკლი ოქრუაშვილი და მისი თანაპარტიელები მის დაკავებას პოლიტიკურ მოტივებსა და რუსთავი 2-ის გარშემო გააქტიურებას მიაწერენ. იგი 20-21 ივნისის მოვლენებიდან კარგა ხნის შემდეგ დააკავეს.

– სამართალდამცავებმა განმარტეს, რომ ოქრუაშვილი დაკავებულია 21 ივნისის მოვლენებზე. საუბარია მასობრივ ძალადობაში მონაწილეობაზე. მათაც რომ არაფერი თქვან, მაშინდელი კადრები არსებობს. ირაკლი ოქრუაშვილისგან ისმის მოწოდება პარლამენტში შეჭრისა და ძალაუფლების ხელში აღებისკენ.

– რუსთავი 2-ზეც საუბრობდა ოქრუაშვილი.

– იმ ღამის შემდეგ ირაკლი ოქრუაშვილი რუსთავი 2-ზეც აკეთებდა კომენტარებს და კიდევ ბევრ სხვა რამეზეც. მისი განცხადებები სკანდალური იყო. ვნახეთ აღიარებითი ჩვენებებიც. ასე იქცეოდა იმისთვის, რომ საკუთარი თავი დაეზღვია და გარკვეული ალიბი შეექმნა. ამის შემდეგ იტყოდა, რომ აქტიურობისთვის ისჯება. სააკაშვილის ხელისუფლების ყოფილ საკვანძო ფიგურას, ოქრუაშვილს, არა აქვს სხვა ხელისუფლების კრიტიკის უფლება.

– რატომ?

– მის ყველა გადაცდომას არ შევეხები. ეს შორს წაგვიყვანს.

ჩვენი ხელისუფლება უშეცდომო არ არის, ქვეყანაში ბევრი პრობლემაა, რომელიც სააკაშვილის რეჟიმიდან მოგვყვება, მაგრამ ოქრუაშვილისთანა ყოფილმა მაღალჩინოსნებმა რა ნამუსით უნდა თქვან, ქვეყანა იღუპებაო. ეტყობა, ოქრუაშვილი ფიქრობს, რომ ეს ხელისუფლება ადგილს აფუჭებს. კომუნისტების დროს კორუფცია ყვაოდა. იმ დროს პატიოსანი ადამიანი თუ სარფიან თანამდებობაზე იყო და ფულს არ აკეთებდა, იმაზე მექრთამე და ქურდი ამბობდა, ადგილს აფუჭებსო.

– კორუფციის მხრივ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებასაც აკრიტიკებენ.

– საერთაშორისო კვლევები ჩვენ სასარგებლოდ მეტყველებს. კორუფციაში ბრალდებით დროდადრო აკავებენ ჩინოსნებს. კორუფციის სრულად აღმოფხვრა შეუძლებელია. სააკაშვილის დროს თუ ადეიშვილთან, მერაბიშვილთან (მმართველ ხუთეულთან) არ იყავი შეთანხმებული, ქვეყნის ფარგლებს გარედან კვერცხსა და ხახვს ვერ შემოიტანდი.

– ირაკლი ოქრუაშვილამდე იმავე საქმეზე ნიკა მელიას გაუკეთეს ელექტრონული სამაჯური. მის მიმართ სოლიდარობა იმ საზოგადოებამაც კი გამოიჩინა, რომელიც ნაცმოძრაობას მხარს არ უჭერს.

– მედიამ არასწორად გააშუქა პარლამენტში ნიკა მელიასთვის იმუნიტეტის შეჩერების საკითხი. ასე რომ არ მოვქცეულიყავით, პროკურატურა სასამართლოს ვერ მიმართავდა. გაშუქდა ისე, თითქოს პარლამენტის უმრავლესობამ გაწირა ნიკა მელია და მას განაჩენი გამოუტანა.

ხალხს აჩვენებდნენ კადრებს, როგორ ემშვიდობება მელია შვილს. ამან გამოიწვია ადამიანებში გულის აჩვილება. ხომ ნახეთ, მელია არ დაუკავებიათ. ზოგს ჰგონია, რომ ნიკა მელია სააკაშვილის დროს ნაცმოძრაობაში არ იყო და ამიტომ იმსახურებს პატივისცემას. არადა, ეს ტყუილია.

– მელია პარტიაში არ ყოფილა.

– პარტიის აქტივში არ იყო, თორემ სააკაშვილის დავალებებს ასრულებდა. სასამართლოს გადაწყვეტილებების შესრულებას სახელმწიფო ავალებს აღმასრულებელს. სწორედ აღმასრულებელი იყო მელია. ის იქ მუშაობდა 2011-2012 წლებში. როცა სააკაშვილმა ბინა უსამართლოდ წამართვა, საბუთზე ნიკანორ მელიას ხელმოწერა იყო.

– მის დაკავებამდე ბრალი წარუდგინეს მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს, რასაც საერთაშორისო უკმაყოფილებაც მოჰყვა.

– გავიხსენოთ, რა უძღოდა ამას წინ. ხუთიექვსი თვის წინ, როცა ამ თემაზე დაიწყო საუბარი, ხელისუფლების ოპონენტები იძახდნენ, თუ ხაზარაძე და ჯაფარიძე დამნაშავეები არიან, ბრალი რატომ არ წაუყენესო. ხაზარაძე მაშინ პარლამენტის კომიტეტში გამოვიდა და ვრცლად ისაუბრა, წარმოადგინა თავისი ვერსია. გავიდა დრო და პროკურატურამ მათ ბრალი წაუყენა.

მთავარი პროკურორი შალვა თადუმაძე კვალიფიციური იურისტია და, რომ არ არსებობდეს საფუძვლიანი დასაბუთება, პროკურატურა ბრალს არ წამოაყენებდა. ვინც გარედან ვადევნებთ თვალს, კითხვები გვაქვს. როგორ შეიძლება, შენი თანხა დაბალი პროცენტით გადასცე სხვას და, ფაქტობრივად, აჩუქო, მერე კი ამ პირისაგან ძვირად ისესხო და შემდეგ ოფშორში გაუშვა!

ხაზარაძემ იცის, რომ მიქარული აქვს და ისიც ოქრუაშვილივით ალიბის იქმნის. ისიც აკეთებს ხმაურიან განაცხადებს, თუნდაც, საზოგადოებრივი მოძრაობის შექმნაზე. ამას იმიტომ აკეთებს, რომ თქვას, პოლიტიკურად მებრძვიანო.

30 წელიწადია, ქვეყანაში პოლიტიკური დუღილია და ხაზარაძეს არც ერთხელ არ გასჩენია საზოგადოებრივი ან პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის სურვილი. ხაზარაძე ამას უფრო დახვეწილი ფორმით აკეთებს, ვიდრე ოქრუაშვილი. ქვეყანაში საკმარისი პრობლემა გვაქვს. ხელისუფლების კრიტიკა სხვა რამეზე შეიძლება, მაგრამ, იმას ნუ დააბრალებენ, რაც არ ჩაუდენია. მამუკა ხაზარაძეს ჩაგრულ კაცად ნუ გამოიყვანენ. მას უამრავი იურისტი იცავს და სხვა ბევრი რესურსი აქვს იმისათვის, რომ არავის დაეჩაგვრინოს.

– რაც დრო გადის, სულ უფრო მეტი სკეპტიციზმი გამოითქმის იმაზე, რომ ნულოვანი ბარიერი და პროპორციული სისტემა 2020 წლის არჩევნებისთვის დამტკიცდება. ექსპერტებიც ნიჰილისტურად უყურებენ „ქართული ოცნების“ ამ ინიციატივის მიღებას.

– „ოცნება“ პროპორციულ არჩევნებზე 2020 წლისთვის ადრევე თანახმა იყო, მაგრამ მაშინ ეს არ გამოვიდა. 2016 წელს პირადად ვიყავი მომხსენებელი ამ საკითხზე. ეს ჯერ კიდევ წინა პარლამენტში ხდებოდა. მაშინ საკონსტიტუციო უმრავლესობა არ გვქონდა. ოპოზიციამ მხარი არ დაგვიჭირა. სამწუხაროდ, უმრავლესობაშიც ვერ შედგა კონსენსუსი და გადაწყდა, რომ 2020 წელსაც დარჩებოდა შერეული სისტემა.

– ახლა საკონსტიტუციო უმრავლესობაც დაშლილია.

– დიახ. თუ ოპოზიციამ თავისი პოლიტიკა გააგრძელა, შეიძლება, ხმები არ გვეყოს. მაშინ ცვლილება ვერ მოხდება. თუ ასე მოხდა, ოპოზიციამ პასუხისმგებლობაც უნდა აიღოს! არ ვეთანხმები იმ ექსპერტებს, რომლებიც წინასწარ ჩივიან, რომ ცვლილებები არ მოხდება. ეგ ექსპერტები თითქმის ყოველთვის ცდებიან.

დაცლილი დახლები, დაკეტილი მაღაზიები და ხელისუფლებაზე ძალიან გაბრაზებული მოსახლეობა

თბილისი, 2019 წელი 26 ივლისი, სადგურის მოედანი. ტერიტორია სავსეა ვალუტის გადამცვლელი ჯიხურებით. ტაბლოებზე ერთი ამერიკული დოლარი 2,95 ლარს აჩვენებს. შუახნის კაცი ერთ-ერთ ჯიხურთან მოლარეს უხსნის, რომ სესხის დასაფარად საკმარისი თანხა აღარ აქვს, ის საკმარისი რაოდენობის დოლარის ყიდვას ვერ ახერხებს, ადამიანი შუა ქუჩაში უკვე ყვირილზე გადადის, ამბობს, რომ ჯერ კიდევ დილით დოლარის კურსი 2,91 ლარი იყო, პირველ საათზე კი უკვე 2,95 ლარია. კაცი არ ჩუმდება ბოლო ხმაზე ჩხუბობს, მანქანაში ჯდება მიდის. მიდის ალბათ, დამატებით თანხის საშოვნელად, როგორც თვითონ თქვა, ვადაგადაცილებული სესხის დღეს მაინც უნდა დაფაროს.

ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ კიდევ უფრო მეტი პრობლემა პრობლემები შეუქმნა ადამიანებს, რომლებიც ვაგზლის მოედანზე გადარჩენისთვის იბრძვიან. თუმცა, როგორც ჩანს, ბევრი მათგანი უკვე დაიღალა ბრძოლით და უბრალოდ, ფარხმალი დაყარა. ამას ადასტურებს თბილისის ერთ-ერთი უმსხვილეს სავაჭრო ობიექტი – „კიდობანი.“ დღეს შენობაში უამრავი ცარიელი კომერციული ფართი შეგხვდებათ წარწერით – ქირავდება.

„კომერსანტს“ დაკეტილი დახვდა ისეთი მაღაზიებიც, სადაც უამრავი ტანსაცმელი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, მეპატრონემ მისვლის აზრი დაკარგა.

ვინც მაინც დადის სამსახურში, ქვეყანაში შექმნილ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაზე საუბრისგან თავს იკავებს და ერთი ფრაზით შემოიფარგლება – ვერ ხედავთ, რა ხდება? ცარიელია სავაჭრო ცენტრი, რაზე ვილაპარაკო?

ლაპარაკი გადაწყვიტა ერთ-ერთი მაღაზიის მფლობელმა, რომელმაც რამდენიმე დღის წინ მაღაზიიდან გამყიდველი გაუშვა, რადგან ხელფასს ვეღარ უხდიდა. ახალგაზრდა ქალი თურქეთიდან ჩამოტანილ ტანსაცმელს ახლა თვითონ ყიდის, როგორც გვიყვება, მთელი კვირის განმავლობაში ერთადერთი კაბა გაყიდა. ამბობს, რომ თუ სიტუაცია არ შეიცვალა, მაღაზიის დაკეტვა მოუწევს და ვალებით სავსე საკრედიტო ბარათებით დარჩება.

– რამდენიმე თვის წინ ვიყავი თურქეთში იმისთვის, რომ ბანკეტების პერიოდს მომზადებული დავხვედროდი. ნასესხები ფული განვაახლე კოლექცია მაგრამ, რად გინდა, გოგოები მოდოიდნენ იცვამდნენ, ფოტოს უღებდნენ და მიდიოდნენ. 10 წელია აქ ვმუშაობ და ამდენი გაჭირვებული ადამიანი არასდროს მინახავს. წლების წინ ბანკეტისთვის ტანსაცმელი რომ მეყიდა, რამდენჯერმე მივდიოდი თურქეთში და გაცილებით მეტი ნივთი ჩამომქონდა, ახლა ვოცნებობ, რომ რაც ჩამოვიტანე ის მაინც გავყიდო, რომ სესხის ფული გადავიხადო. ყველაზე დიდი პრობლემა არის ის, რომ თურქეთში დოლარით ვვაჭრობთ. თუ წლის ბოლომდე სიტუაცია არ შეიცვალა და დოლარის კურსი არ შემცირდა, ავდგები და დავკეტავ მაღაზიას, სხვა გზა არ მრჩება, როგორ მოვიქცე, აღარ ვიცი, – ამბობს მაღაზიის გამყიდველი, რომელსაც ვინაობის გამხელა არ სურს.

– ცარიელ მაღაზიას ხომ ხედავ? ჩემმა მეგობარმა დააცარიელა გუშინ.

– ასე იწყებს საუბარს კიდევ ერთი მაღაზიის მეპატრონე. იდენტიფიცირება არც ამ ადამიანმა ისურვა. შუახნის მამაკაცი ამბობს, რომ ისეთ რთულ ეკონომიკურ სიტუაციაში, როგორშიც დღეს არის, არასდროს ყოფილა. გვიყვება, რომ რამდენიმე წლის წინ ბიზნესის გაფართოების მიზნით სრულიად გააზრებულად სესხი დოლარში აიღო. როგორც თვითონ ამბობს, ბეწვის ხიდზე გადის, რადგან დიდი რისკია იმისა, რომ წლების განმავლობაში შეგროვებული ქონება სრულად დაკარგოს.

„კიდობნის“ გარდა, თბილისში კიდევ რამდენიმე მაღაზია მაქვს. ამ ყველაფერს წლების განმავლობაში მივაღწიე და ახლა აღმოჩნდა, რომ ამ დროის განმავლობაში ნაწვალები ყველაფერი წყალში ჩამეყრება. მცირე ბიზნესი ვისაც აქვს, იმ ადამიანისთვის განვითარება ძალიან რთულია და საკმაოდ დიდი სესხი ავიღე ამ მიზნის მისაღწევად. მაშინ როცა მეგონა რომ მიზანს მივაღწიე და მშვიდად ცხოვრება უნდა დამეწყო, ყველაფერი შეიცვალა. პირდაპირ გეტყვით მთელი ოჯახი ვცდილობთ თვიდან თვემდე მივაღწიოთ, დღევანდელი შემოსავლით მარტო სესხის დაფარვას ვახერხებ. ბოლო რამდენიმე თვეში ისე გაუფასურდა დოლარი, ძალიან მალე, მგონი, ამასაც ვეღარ შევძლებ და მომიწევს, ვალს ვალი დავამატო და ჩვენც ვიცხოვრებთ ისე, როგორც საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა ცხოვრობს, ეს მთავრობა, უბრალოდ, სხვა გზას არ გვიტოვებს. დილით დოლარი 2,91 ლარი იყო, ახლა 2,95 ლარია. ნორმალურია ეს? როდემდე შეიძლება, ასე გაგრძელდეს? – ამბობს შუახნის მამაკაცი.

ამ ადამიანების ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა ხშირ შემთხვევაში მათ დანწყობასა და მომსახურების ხარისხზე აისახება. უმეტესობა მომხმარებლებთან უხეში დამოკიდებულებით გამოირჩევა. სავაჭრო ცენტრში მომუშავეებს გონიათ, რომ ადამიანები მათ პროდუქტების ყიდვას არ აპირებენ და მხოლოდ დასათვალიერებლად შედიან.

რეპორტაჟზე მუშაობისას მსგავსი ფაქტის შემსწრე რამდენიმეჯერ გავხდი. „კიდობანში“ დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში ვიყავი, სავაჭრო ცენტრის გვერდით ერთ-ერთი კომერციული ბანკია, ტაბლოზე ვკითხულობ, რომ 1 აშშ დოლარის ყიდვა 2,9900 ლარადაა შესაძლებელი და მაინც, „ნორმალურია ეს? როდემდე შეიძლება, ასე გაგრძელდეს?!“

თემურ ჭყონია ლარის გაუფასურებაზე: „ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ან სამოქმედო გზებზე უნდა ისაუბროს, ან თანამდებობიდან წავიდეს“

– დღევანდელი ვითარება გვაძლევს იმის საშუალებას, ვიფიქროთ, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტის წინა პერიოდის განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყანაში არაფერი ხდება და ყველაფერი კონტროლის ქვეშაა, მათი ეს დამრიგებლური ტონი, რბილად რომ ვთქვათ, არასწორი და არაპროფესიონალური აღმოჩნდა, – ბიზნესმენი თემურ ჭყონია ლარის გაუფასურებასთან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებას „კომერსანტთან“ აფიქსირებს.

მისი თქმით, მთავრობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ეროვნული ბანკის პრეზიდენტ კობა გვენეტაძის თანამდებობრივ შესაბამისობაზე. როგორც ჭყონია აცხადებს, გვენეტაძემ ან უნდა განმარტოს, რა პასუხისმგებლობას იღებს ამ საკითხზე, რა ხდება რეალურად და მოქმედების გზებზე ისაუბროს, ან მისი პასუხისმგებლობა უნდა დადგეს, დატოვოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანამდებობა.

– ბიზნესი ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში დიდხანს ვერ ვიქნებით. გამოვიდეს გვენეტაძე და თქვას, რა შეუძლია. თუ არაფერი შეუძლია და მხოლოდ სტატისტიკასა და კურსს აფიქსირებს, არ ვიცი. მაშინ თქვას, რომ მე ამის გამკეთებელი არ ვარ და დატოვოს თანამდებობა. თუმცა, ამ ჩემს ლოგიკას უარყოფითი ეფექტიც შეიძლება ჰქონდეს. მან თუ თანამდებობა დატოვა, შეიძლება, ბაზარზე უარესი პანიკა გამოიწვიოს. ამიტომ, არ ვიცი, სრულიად გაურკვეველი სიტუაციაა, – აცხადებს ჭყონია. რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის გუშინდელ განცხადებას, რომლის მიხედვითაც, ლარის კურსის ვარდნა ნაციონალური მოძრაობისა და 20 ივნისის შემდგომ განვითარებული მოვლენების გავლენის შედეგია, ჭყონია აღნიშნავს, რომ სტაბილურობა და პროგნოზირებადი გარემო, რომელზეც პრემიერმა ისაუბრა, უნდა შექმნას მმართველმა პარტიამ, იმ გუნდმა, რომელიც საზოგადოებამ აირჩია. შესაბამისად, ამ გუნდმა არ უნდა დაუშვას დესტრუქციული ძალების გავლენა ეკონომიკაზე.

– თუ ამ ლოგიკას ავყვებით, რომ დესტრუქციულ ძალებს ეკონომიკაზე აქვთ გავლენა, მაშინ ეს ძალები არ გაჩერდებიან. ჩვენ თუ მივაგენით მიზეზს, რომ ამ ძალების გამო ინგრევა ჩვენი ეკონომიკა, მიზეზი ნაპოვნი გვქონია, მაშინ მთავრობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, როგორ უნდა მოუაროს დესტრუქციულ ძალებს, დაგეგმოს, როგორ გააუმჯობესოს ეკონომიკა, რადგან დღეს ის საფრთხის წინაშეა, – აცხადებს ჭყონია.

ჭყონიას თქმით, ბიზნესმა დღევანდელი სიტუაციიდან გამოსავალი არ იცის.

– დაგეგმვაზე საუბარი არ არის, რაც არ უნდა გაიზარდოს ფასები და ბიუჯეტები დაიგეგმოს, ყველაფერი იქნება შეცდომა, გამომდინარე იქიდან, რომ, პრემიერის სიტყვებს გავიმეორებ, დანგრეულია პროგნოზირებადი გარემო. ეს თუ ასეა, გრძელვადიან თემებზე საუბარი შეუძლებელია, – აღნიშნავს ჭყონია.

ვახტანგ მაისაია: საქართველოსა და აზერბაიჯანს საერთო მტერი ჰყავთ — რუსეთი

გულიკო ბალაძე

ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

— ბატონო ვახტანგ, ვრცელდება ინფორმაცია და ფოტომასალა. რომ დავითგარეჯში, აზერბაიჯანის მხარეს, იქ, სადამდეც ახალი გზა მოიყვანეს, სამხედრო მანქანების განლაგება შეიმჩნევა, შეიძლება, მას სამხედრო ტექნიკის საზღვართან კონცენტრაციაც დავარქვათ. თუკი ინფორმაცია ნამდვილია, აზერბაიჯანის მხრიდან ეს შეიძლება არაპირდაპირ სამხედრო მუქარად აღვიქვათ?

— ამის თაობაზე ინფორმაცია არ მაქვს. თუ ასეა, ეს აზერბაიჯანის მხრიდან საქართველოს მიმართ სამხედრო მუქარად შეიძლება აღვიქვათ. შეიძლება, ბოლო ინციდენტის გამო, რომელიც აზერბაიჯანელი მესაზღვრეების მიერ ტაძრიდან ხატების გამოტანასა და უდიერად მოპყრობაზე ქართველი მოსახლეობის უარყოფით რეაქციას უკავშირდებოდა, აზერბაიჯანელი მესაზღვრეების გაძლიერება მოახდინეს. როგორც ჩანს, აზერბაიჯანული მხარე ამ ინციდენტს სერიოზულად მოეკიდა. ეს აჩვენებს, რომ აზერბაიჯანი მზად არის, კონფრონტაციის ამ მოდელზე წავიდეს.

თუ იქ არის სამხედრო ელემენტი, სხვაგვარად ფასდება, თუ სასაზღვრო ძალები გააძლიერეს, აზერბაიჯანის სასაზღვრო ძალები ემორჩილება აზერბაიჯანის უშიშროების სამინისტროს, თუ ეს არის აზერბაიჯანის სამხედრო შენაერთი, ემორჩილება აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს.

თუ თავდაცვის სამინისტროს შენაერთია, მაშინ სამხედრო მუქარის ტონია. თუ სასაზღვრო ძალების გაძლიერებაა, მაშინ ეს შეიძლება ჩაითვალოს მათი მხრიდან დამატებითი ძალების კონცენტრაციად.

აზერბაიჯანი მაინც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და, გარკვეულწილად, პროვოკაციებს უნდა მოვერიდოთ. თუ არის გარკვეული ნიუანსი, რაც თავდაცვის ძალების არსებობას გულისხმობს, მაშინ ეს სამხედრო მუქარად შეიძლება აღვიქვათ.

— არ ირკვევა, რა ძალებია.

— ბუნებრივია, აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების კონცენტრაცია სხვა რაღაცას ნიშნავს.

— ცოტა ხნის წინ ჩვენ ვისაუბრეთ რუსეთის მხრიდან მომავალ საფრთხეებზე. შეიძლება, საქართველოს სხვა ქვეყნებიდანაც ემუქრებოდეს საფრთხე, თუნდაც აზერბაიჯანის მხრიდან?

— ვიმედოვნებ, აზერბაიჯანის მხრიდან საფრთხეების წარმოჩენას ადგილი არ ექნება. გააჩნია, როგორ განვითარდება მოვლენები. იმედი მაქვს, სიტუაცია არ გართულდება. აზერბაიჯანი მაინც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია. ჩვენ რამდენიმე ფორმატში სტრატეგიული პარტნიორები ვართ. ერთია, სამხრეთი ფორმატი – საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთი, მეორეა სუამის ფორმატი. ამას პლუს, საქართველოსა და აზერბაიჯანს გვაერთიანებს სტრატეგიული ენერგეტიკული პროექტები. უსაფრთხოების კუთხითაც ერთიან სისტემაში ვართ ჩართული. ალბათ, ამ პროექტებს დარტყმის ქვეშ არ დააყენებს.

როგორც ჩანს, აზერბაიჯანშიც არის გავლენის აგენტურა და შეეცდებიან, ჩვენ შორის არასასიამოვნო ინციდენტი გამოიყენონ როგორც აზერბაიჯანის, ასევე საქართველოს წინააღმდეგ. არა მგონია, სიტუაცია ისე დაიძაბოს, რომ საქმე სამხედრო კონფრონტაციამდე მივიდეს. ვფიქრობ, ამისთვის აზერბაიჯანისა და საქართველოს ხელისუფლებებს სიბრძნე ეყოფათ. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის კონფრონტაციას გამოვრიცხავ.

— დავითგარეჯის გამო არასასიამოვნო დავა წარმოიშვა. ეს ძეგლი აშკარად ქართულია, მაგრამ აზერბაიჯანელი ისტორიკოსები რას არ იგონებენ. ქართველ ისტორიკოსებს აქვთ დოკუმენტები, რომ საზღვარი დავითგარეჯიდან 300 მეტრის იქითაა. ეს აღნიშნულია 1938 წლის რუკაზეც, რომლითაც, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, ორი მხარის კომისიები სარგებლობენ. მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანულმა მხარემ გზა მოიყვანა და პირდაპირ დავითგარეჯის ძეგლს მოაბჯინა. ამას დაემატა ხატების გამოტანა, ანუ აზერბაიჯანი სიტუაციის გამწვავებას არ ერიდება. რატომ? სარგებლობენ იმით, რომ რუსეთთან დაძაბული ურთიერთობა გვაქვს?

— აზერბაიჯანელი რადიკალი ისტორიკოსი რას იტყვის, იმას ნაკლები მნიშვნელობა აქვს. მთავარია აზერბაიჯანის ხელისუფლების პოზიცია.

— ამ დავაში მთავარი სიტყვა ისტორიკოსებს ეკუთვნით.

— გასაგებია, მაგრამ იმგვარი განცხადებები, რომ თურმე თბილისიც აზერბაიჯანული ყოფილა, ბოდვაა. ასეთი ვაიმეცნიერები, შეიძლება, ჩვენც გვყავდეს. მთავარია ხელისუფლების პოზიცია. იმედია, ეს გაუგებრობა მალე გადაილახება და სრული ჭეშმარიტება დადგინდება.

ისიც მნიშვნელოვანია, რომ აზერბაიჯანული მხარე არ ახდენს ვითარების ესკალაციას. მათ შეიძლება ჰქონდეთ თავიანთი ხედვები, ჩვენ ჩვენი პოზიცია გვაქვს. მთავარია, ამ დავამ მტრობის სახე არ მიიღოს, რომელიც ჩვენი მტრების წისქვილზე დაასხამს წყალს. ჩემი აზრით, ამ ეტაპზე ორივე მხარე სიტუაციას აკონტროლებს.

— ჩვენ და აზერბაიჯანს საერთო მტრები თუ გვყავს?

— რასაკვირველია. რუსეთის აგრესიული პოლიტიკა პრობლემებს უქმნის როგორც საქართველოს, ასევე აზერბაიჯანსაც. რუსეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობაც არ არის დალაგებული. აზერბაიჯანისა და რუსეთის სახელმწიფო ურთიერთობებშიც არის საკმაოდ სერიოზული პრობლემები. იგივე, ვთქვათ, რუსეთი აძლიერებს თავის სამხედრო გავლენას კასპიის ზღვის აკვატორიაში, რაც აზერბაიჯანის ხელისუფლების დიდ შეშფოთებას იწვევს.

— აზერბაიჯანმა თვითონ არ მოაწერა ხელი ხელშეკრულებას, რომლითაც რუსეთს ამის უფლება მისცა?

— ეს ჩვეულებრივი ხელშეკრულებაა, სადაც აზერბაიჯანმა თავისი ინტერესები მონახა. იქ კასპიის საზღვაო აკვატორიების თანაბარი განაწილება მოხდა. აზერბაიჯანს რუსეთისთვის იმის უფლება არ მიუცია, რომ რუსეთს შეექმნა მაღალი დონის სამხედრო დანიშნულების სამხედრო-საზღვაო ძალების ფლოტილია. ხელშეკრულებაში საუბარი იყო სამხედრო-საზღვაო ძალებზე და არა ფლოტილიაზე. ფლოტილია უფრო დიდი მასშტაბის სამხედრო ძალებია.

რუსეთმა ასტრახანიდან მაჰაჩყალის ტერიტორიაზე გადმოიტანა და იქ, ფაქტობრივად, შექმნა კასპიის სამხედრო-საზღვაო ფლოტილიის შტაბ-ბინა. ეს ბევრ რამეს ნიშნავს. ფაქტობრივად, რუსეთი აზერბაიჯანს დაემუქრა. ეს არის სამხედრო მუქარა. ამიტომ, ბუნებრივია, აზერბაიჯანშიც არსებობს სერიოზული პრობლემები, იგივე მთიან ყარაბაღთან დაკავშირებული პრობლემა, რომელზეც რუსეთთს გააჩნია განსხვავებული მოსაზრებები. ასევე არის რუსეთში აზერბაიჯანული უმცირესობის შევიწროების ფაქტები, რაც შეშფოთებას იწვევს. ამდენად, რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის არც ისე იოლი ურთიერთობებია. საქართველოსა და აზერბაიჯანს საერთო მტერი ჰყავთ.

— დანარჩენი მეზობლები, თურქეთი, სომხეთი როგორ აღიქვამენ ამ ჩვენს დავას აზერბაიჯანთან?

— თურქეთი ჯერჯერობით სიმშვიდით ხვდება ამ დავას, ისევე, როგორც სომხეთი. ასევეა რუსეთიც. ისინი ოფიციალურად არავითარ კომენტარს არ აკეთებენ. ეს დავა არ არის გადასული სახელმწიფოთაშორის დაპირისპირებაში, ამიტომ ჩვენი მეზობლები არ აკეთებენ რამე სპეციალური ტიპის განცხადებას.

ორივეს მხარეს ესმის, რომ ასეთი ტიპის დავის გადატანა სახელმწიფოთაშორის დაპირისპირებაში არ აწყობს ჩვენი ქვეყნების ინტერესებს. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე პარიტეტი შენარჩუნებულია. იმედი მაქვს, დამატებითი ტექნიკის განთავსება ემსახურება სასაზღვრო ძალების გაძლიერებას.

— მოლაპარაკების პროცესში მესაზღვრეების მიერ მონასტრიდან ხატების გამოტანა, რომელსაც ჩვენ ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, პროვოკაციული ქმედება არ არის? სამხედროები თავიანთი ნებით ხომ ვერ იმოქმედებდნენ, ე.ი. სახელმწიფო და ხელისუფლება მიდის პროვოკაციაზე.

— აზერბაიჯანში განათლებასთან მწყარალად მყოფი მოსამსახურეების რაოდენობა ცოტა არ არის. შეიძლება, ეს განპირობებული იყო თვითონ ამ სამხედრო მოსამსახურეების გაუნათლებლობით. ინდივიდუალური ქმედება იყო. ამიტომ ამ ფაქტორსაც არ გამოვრიცხავ. ვერ ვიტყვი, რომ აზერბაიჯანის სახელმწიფო პოლიტიკაა ასეთი. აზერბაიჯანის ხელისუფლების მხრიდან რომ ყოფილიყო სანქცირებული, მაშინ აზერბაიჯანი გაცილებით ხისტ ნაბიჯებს გადადგამდა. გარკვეულწილად, ეს იყო იქაური რიგითი მოსამსახურეების თვითნებური ქცევა, რაც გამომდინარეობდა ნაკლები განათლებულობიდან.

— ვფიქრობ, თქვენ ახლა უფრო არბილებთ სიტუაციას.

— ბუნებრივია, ვარბილებ. მესმის, რომ არასასიამოვნო ფაქტია, მაგრამ აქ მეორე ნიუანსია. რეგიონში აზერბაიჯანი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია, მოკავშირეა. ჩვენ ახლა, გარკვეულწილად, ერთგვარ მახეში ვართ. აფხაზეთში არის აფხაზურ-რუსული სამხედრო დაჯგუფება-კოალიცია, სომხეთში შექმნილია რუსულ-სომხური სამხედრო კოალიცია. რუსეთი მამისონის მიდამოებში ატარებს წვრთნებს, როგორ დაიკავებს ამ სტრატეგიულ სიმაღლეებს. იქ ჰყავს 1500 სამხედრო ჯავშანმანქანა და ჯავშანტექნიკა. 6 ათასი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობს სამხედრო წვრთნებში. ეს რუსეთის მხრიდან პირდაპირი სამხედრო მუქარაა.

ასევე თურქეთ-ამერიკის ურთიერთობის გაუარესების ფონზე როგორი იქნება თურქეთის ხელისუფლების პოზიცია, ისიც გაურკვეველია. შეიძლება, ირანის წინააღმდეგაც განხორციელდეს პირდაპირი დარტყმები, დაიწყოს სამხედრო კამპანია, რომელსაც ჩვენს ქვეყანაზეც ექნება გავლენა. აქედან გამომდინარე, ერთადერთი, ვისთანაც რეგიონში ნორმალური ურთიერთობა გვაქვს, აზერბაიჯანია. უკრაინასთანაც კი განსხვავებული ურთიერთობები გვაქვს.

ამიტომ ეს საკითხები, რა თქმა უნდა, ძალიან ფრთხილ მოპყრობას საჭიროებს. ვცდილობ, ნაკლები სიმწვავით ვილაპარაკო. დღეს, შეიძლება, ნებისმიერი ქმედება გამოყენებულ იქნეს სიტუაციის გართულებისთვის. თუ მეორე მხარემ განახორციელა რამე ქმედებები, მაშინ, კი ბატონო, ჩვენც უნდა მივიღოთ ზომები. ჯერჯერობით ამ შემთხვევაში ორივე მხარეს კარგად ესმის, რომ ზოგადად მსოფლიოში ვითარება რთულია. ისეთი გეოპოლიტიკური მდებარეობა გვიკავია, რომ ერთმანეთთან ქიშპობა არ გვაწყობს.

არსებობს ირანის პრობლემა, თურქეთისა და ამერიკის გართულებული ურთიერთობა, რუსეთის აგრესიული პოლიტიკა. სხვა მიმართულებითაც არის პრობლემები. ამიტომ საქართველო-აზერბაიჯანს შორის ნორმალური ურთიერთობები ორივე მხარის სასიცოცხლო ინტერესებშია.

— ჩვენ უფრო ვუფრთხილდებით აზერბაიჯანთან ურთიერთობებს და სიტუაციას არ ვძაბავთ, არანაირ ქმედებებს არ ვახორციელებთ. ხელისუფლება განცხადებებსაც არ აკეთებს, რაზეც საზოგადოება საყვედურობს, მით უმეტეს, სასაზღვრო ზოლი არ გაუძლიერებია. აზერბაიჯანის მხრიდან ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი.

— მგონი, აზერბაიჯანის მხარეც არ აკეთებს განცხადებებს. აზერბაიჯანელი მესაზღვრეებიც გაძევებულ იქნენ ტერიტორიიდან, მაგრამ აზერბაიჯანმაც თავი შეიკავა და პოლიტიკური მნიშვნელობა არ მიანიჭა. გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ფონი ორივე ქვეყნისთვის რთულია. პოლიტიკური ვითარება ძალიან რთულია, ღრმა პოლიტიკური კრიზისია.

ღრმა პოლიტიკურ კრიზისს კიდევ ცხელი აგვისტო ემატება. გეოპოლიტიკური გართულებების დამატება საჭირო აღარ არის. გავლენის აგენტები არიან ჩვენთანაც და აზერბაიჯანშიც, რომლებიც ვითარებას კიდევ უფრო ძაბავენ.

— კი, არ არის გამორიცხული, აზერბაიჯანში ვინმეს ჰქონდეს ისეთი აზრი, ყარაბაღის დაკარგვის კომპენსაცია აქედან რომ მიიღოს. სამხედრო გზის მიყვანა დავითგარეჯის მონასტრის ძირამდე რა საჭირო იყო?

— ვეთანხმები თქვენს აზრს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ორივე მხარე გამოხატავს თავის მედგარ პოზიციას, თავს იკავებს რადიკალური ქმედებებისაგან.

ბიზნესომბუდსმენი: „ბიზნესთან მეტი კომუნიკაციაა საჭირო“

დღეს ბიზნესისთვის მთავარი გამოწვევაა ლარის კურსის მერყეობა, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე პროცესების გარშემო ნეგატიური მოლოდინებით არის განპირობებული – ასე აფასებს ბიზნესომბუდსმენი დოლართან მიმართებით ლარის მკვეთრ გაუფასურებას.

– ნეგატიურ მოლოდინებს ბიზნესსა და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში თავისი საფუძველი აქვს. მთავარი მაინც არის რუსეთთან საჰაერო მიმოსვლის შეწყვეტა და მისი ნეგატიური გავლენა სხვადასხვა ბიზნესინდუსტრიაზე. ნეგატიურ მოლოდინებს ქმნის ქვეყანაში პოლიტიკური ტემპერატურის აწევა და გარკვეული ჯგუფების მხრიდან აჟიოტაჟის შექმნა, – ამბობს ლექვინაძე.

ვის გულისხმობს ბიზნესომბუდსმენი გარკვეულ ჯგუფებში და ადანაშაულებს თუ არა ოპოზიციას აჟიოტაჟის შექმნაში – ირაკლი ლექვინაძე ამბობს, რომ ის, რაც მოქმედებს პოლიტიკურ სტაბილურობასა და ნეგატიური პროცესის ხელოვნურად კიდევ უფრო მეტად გაღვივებაზე, ბიზნესგარემოს აზიანებს.

– ბიზნესისთვის მნიშვნელოვანია გამჭვირვალობა და სიცხადე გრძელვადიან პროცესში. საჭიროა მეტი კომუნიკაცია, რომ ბიზნესს დავანახოთ გრძელვადიანი პერსპექტივა. მნიშვნელოვანი და საჭიროა უფრო მეტი კომუნიკაციის ხარისხი ეროვნული ბანკის მხრიდან შესაბამის ბიზნესსუბიექტებთან, რათა ნეგატიური მოლოდინების როლი კურსის ფორმირებისას შემცირდეს, – ამბობს ბიზნესომბუდსმენი.

ირაკლი ლექვინაძე თიბისი ბანკზეც ამახვილებს ყურადღებას და ყველა მხარეს განცხადებების გაკეთებისას სიფრთხილისკენ მოუწოდებს.

– ცხადია, რომ მიმდინარე პროცესს ყველა იმ ბიზნესსაქმიანობაზე ექნება ასახვა, სადაც აღნიშნული ბიზნესმენები არიან წარმოდგენილები. აქციების მყისიერი გაუფასურებაც ამას ადასტურებს, ამიტომ სასამართლოს დასრულებამდე სწორია მათი მხრიდან სამეთვალყურეო საბჭოში პოზიციების დატოვება. ყველა მხარე ძალიან ფრთხილი უნდა იყოს განცხადებების გაკეთებისას, რადგან პროცესში პირდაპირ თუ ირიბად ჩართულია თიბისი ბანკი, სისტემური ბანკი, რომლის გამართულად მუშაობა და სტაბილურად განვითარება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქართული ეკონომიკისთვის, – განაცხადა ბიზნესომბუდსმენმა.

საქართველოზე გამავალი ტვირთის ოდენობა 2013 წლიდან მცირდება

საქართველოზე გამავალი ტვირთის ოდენობა 2013 წლიდან მცირდება. როგორც საინვესტიციო კომპანია Galt & Taggart-ის კვლევაშია აღნიშნული, 2017 წელთან შედარებით, 2018 წელს ტვირთბრუნვა 0.9%-ით შემცირდა, რაც სარკინიგზო გადაზიდვების შემცირებით არის გამოწვეული, მაშინ, როცა საგზაო გადაზიდვებმა სტაბილურობა შეინარჩუნა.

Galt & Taggart-ის ინფორმაციით, 2018 წელს, მთლიან ტვირთბრუნვაში საგზაო გადაზიდვებმა 75,7%-ს მიაღწია.

კვლევაში თხევადი და მშრალი ტვირთის გადაზიდვის მაჩვენებლებზეც არის საუბარი. Galt&Taggart-ის ინფორმაციით, მილსადენის მეშვეობით თხევადი ტვირთის გადაზიდვა 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, 27.0%-ით შემცირდა.

– ნედლი ნავთობის ტრანსპორტირება წინა წელთან შედარებით, 58%-ით შემცირდა და მთლიანად, თხევადი ტვირთის 5,4%-ს მიაღწია. ყაზახეთიდან სატრანსპორტო მოცულობის კლების გამო, ნავთობპროდუქტების იმპორტი წინა წელთან შედარებით, 23,8-ით შემცირდა, – ნათქვამია კვლევაში.

Galt & Taggart-ის ინფორმაციით, 4 წლის განმავლობაში პირველად, სარკინიგზო ხაზით მშრალი ტვირთის გადაზიდვის მაჩვენებელმა, 2017 წელთან შედარებით, 6,5%-ს მიაღწია და 2018 წელს ჯამური ტვირთბრუნვის 68,4% შეადგინა.

– მიუხედავად ამისა, ეს შემცირებული თხევადი ტვირთის კომპენსაცია ვერ გახდა. მშრალი ტვირთების გადაზიდვის მაჩვენებელი რეგიონში გაუმჯობესებული ეკონომიკური მდგომარეობის მიზეზია, – აღნიშნულია კვლევაში.

bpn

მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს 700-700 ათასი ლარი გირაო შეეფარდათ

„ეს სისტემა დაინგრევა ძალიან მალე და ესენი სახლში წავლენ“

თიბისი ბანკის დამფუძნებლებს მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით თითოეულს 700 ათასი ლარის ოდენობის გირაო შეეფარდათ.

ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მათ აეკრძალათ საქართველოს დატოვება საგამოძიებო ორგანოს ინფორმირებისა და ნებართვის გარეშე. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნინო ჩახნაშვილმა 26 ივლისს გამოაცხადა.

პროკურატურამ თითოეული მათგანისთვის მილიონ-მილიონი ლარის გირაო მოითხოვა.

– ბრალდების მხარემ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების შესახებ. გირაოს ოდენობად ვითხოვთ მილიონ ლარს თითოეულის შემთხვევაში. ასევე გვაქვს მოთხოვნა, რომ აღნიშნულ პირებს აეკრძალოთ საქართველოს საზღვრის დატოვება საგამოძიებო ორგანოს ინფორმირებისა და ნებართვის გარეშე, – განაცხადა პროკურორმა არჩილ ტყეშელაშვილმა

მან თქვა, რომ გირაოს გამოყენებისას მხედველობაში მიიღება ბრალდებულების ფინანსური მდგომარეობა.

– აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული გირაო უნდა იყოს შემაკავებელი ხასიათის იმ საფუძვლებით, რა საფუძვლებიც სასამართლოსთვის გვაქვს ჩამოთვლილი ბრალდებულების ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ მილიონი ლარი თითოეულისთვის შემაკავებელი ხასიათის იქნებოდა აღკვეთის ღონისძიების მიზნებისთვის, – აღნიშნა ტყეშელაშვილმა.

მისივე განმარტებით, საქმეში წარმოდგენილია არაერთი მტკიცებულება, მათ შორის, მოწმეთა ჩვენებები, ასევე ეროვნული ბანკისა და შემოსავლების სამსახურის აუდიტის დასკვნა, წერილობითი მტკიცებულებები, მათ შორის, საბანკო ამონაწერები, გადარიცხვები.

შეგახსენებთ, რომ მამუკა ხაზარაძეს და ბადრი ჯაფარიძეს 24 ივლისს ბრალი წარედგინათ ჯგუფურად, 16.664.000 ამერიკული დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით).

***

– ეს არის სირცხვილი, ქვეყნის მიმართ მიზანმიმართული დანაშაულებრივი ქმედება. მე გპირდებით, დადგება დრო, ვინც თქვენ უკან დგას, ვინც ამ დავალებებს გაძლევთ, მათ ძალიან სერიოზული პასუხი მოეთხოვებათ, – განაცხადა სასამართლო პროცესზე მამუკა ხაზარაძემ.

მისი აზრით, წარდგენილი ბრალი აბსურდულია.

– აბსურდული ბრალი და მიზანმიმართული შეტევაა ძალიან მნიშვნელოვან პროექტზე და ეს გრძელდება 8 თვეა პროკურატურის მხრიდან. ეს ადამიანები ასრულებენ დაკვეთას, რომ ხელი შეუშალონ მნიშვნელოვან პროექტს.

გუშინწინ მთელმა ქართულმა ეკონომიკამ მილიარდ ლარამდე იზარალა. აქ ითხოვენ 2 მილიონს გირაოს სახით. მათი მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, უცხოეთში არ გავიდეთ, პირდაპირ მიმართულია იმაზე, რომ ის ხელშეკრულებები, რომლებიც დავდეთ, ბოლომდე არ მივიყვანოთ და დისკრედიტირებულები ვიყოთ პარტნიორებთან, – განაცხადა მან.

***

ხაზარაძემ კომენტარი პროცესის დასრულების შემდეგაც გააკეთა.

– გარანტიას გაძლევთ, ეს სისტემა დაინგრევა ძალიან მალე, ესენი სახლში წავლენ და ყველა გონს მოეგოს, – თქვა მან.

ხაზარაძემ აღნიშნა, რომ დღეს ჩვენ პრაქტიკულად ვართ სიტუაციაში, სადაც ერთი პირი მართავს ქვეყანას ინსტიტუციების გარეშე.

– ეს ერთი პირი თქვენ იცით ვინც არის, ეს არის დირიჟორი, რომელსაც ძალიან ცუდი, უცოდინარი შემსრულებლები ჰყავს. გპირდებით, რომ ეს ბრძოლა გაგრძელდება ბოლომდე. მათგან განსხვავებით პიროვნულად კი არ მაქვს ბოღმა ჩადებული გულში, მე ამ ბრძოლას გავაგრძელებ ჩემს მეგობრებთან ერთად, რომ ეს ქვეყანა შეიცვალოს, ეს ჭაობი შეიცვალოს; ახალგაზრდა, ნიჭიერ ხალხს მიეცეს საშუალება თავისუფალი გადაწყვეტილების, მოსამართლეები იყვნენ თავისუფლები, პროკურორები იყვნენ კანონმორჩილები და კანონის შესაბამისად მოქმედებდნენ.

ეს სისტემა, გარანტიას გაძლევთ, დაინგრევა ძალიან მალე, ესენი სახლში წავლენ და ყველა გონს მოეგოს.

ამას არ ვლაპარაკობ იმიტომ, რომ დღეს გირაო დამადეს. თურმე 650 მილიონი უნდა შემოვიტანოთ ქვეყანაში და 700 ათასი ლარით გამაჩერეს, რომ ქვეყნიდან არ წავიდე. ეს არის სირცხვილი! ყველას გპირდებით, რომ ეს დამთავრდება ამ ქვეყანაში და ის მოტყუებული ხალხი, რომლებმაც ვიფიქრეთ 2012 წელს, რომ ქვეყანაში რაღაც შეიცვალა, მივიღეთ აბსოლუტურად მეორე უკიდურესობა. ორი უკიდურესობის მსხვერპლი აღმოვჩნდით ჩვენ. ეს დამთავრდება, – განაცხადა ხაზარაძემ, რასაც სასამართლოს ფოიეში ტაში მოჰყვა.

***

მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის ადვოკატები სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ.

როგორც პროცესის დასრულების შემდეგ ზვიად კორძაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, პროკურატურას საქმეში დაზარალებული არ ჰყავს და არც მტკიცებულებები აქვს.

– სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა, მილიონი ლარი შეამცირა 700.000 ლარამდე, მაგრამ ჩვენი აზრით, ყველაზე აბსურდული გადაწყვეტილება, რაც სასამართლომ მიიღო, პროკურატურის მოთხოვნის გაზიარება იყო, რომლის მიხედვითაც, მამუკა ხაზარაძეს და ბადრი ჯაფარიძეს საზღვარგარეთ გასვლისთვის პროკურატურის ნებართვა სჭირდება.

ბიზნესმენები, რომლებიც საზღვარგარეთ არ დადიან იმისთვის, რომ დრო გაატარონ, არამედ ეს მათი სამუშაო რეჟიმია, თან იმ დროს, როცა ანაკლიის პროექტი არის იმ ფაზაში, როცა ძირითადად, მიმდინარეობს ისეთ საკითხებზე მუშაობა, რასაც ჰქვია ინვესტორებთან მუშაობა, მათ აუკრძალო საზღვარგარეთ გადაადგილება და თან პროკურატურას ჰქონდეს დისკრეცია იმის, მისცეს თუ არა ნებართვა...

ძალიან მაინტერესებს, რა უნდა ქნას პროკურატურამ, თქვას, ახლა გაგიშვებ, ახლა არ გაგიშვებო?

რა თქმა უნდა, ამ გადაწყვეტილებას გავასაჩივრებთ, დაველოდებით მომდევნო ინსტანციის გადაწყვეტილებას. უპირობოდ დავადასტურებთ ჩვენს სიმართლეს.

დღევანდელ სასამართლო პროცესზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ არავითარი მტკიცებულება იმისა, რომ ფულის გათეთრებას, ან რაიმე ტიპის დანაშაულს აქვს ადგილი, არ გააჩნია. პროკურატურამ განმარტა, რომ მათი აზრით, საქმე ხანდაზმულია ერთ ნაწილში, შესაბამისად, დაზარალებული არ ეყოლებათ თიბისი ბანკის სახით. ზოგადად დაზარალებული არის ფულადი საკრედიტო სისტემა, ამიტომ დაზარალებული საქმეში არ იქნება, – განაცხადა კორძაძემ.

აღნიშნულ საქმეზე წინასასამართლო სხდომა 12 სექტემბერს გაიმართება.

გუგა კოღუამ შაკო ტყემალაძეს მესიჯით შეხვედრა სთხოვა. სმს-ით გაგზავნილია მკვლელობის იარაღის ფოტოც



გურამიშვილზე მკვლელობის ახალი დეტალები

გურამიშვილის გამზირზე მომხდარი მკვლელობის გამოძიება ისევ მიმდინარეობს.

21 წლის შაკო ტყემალაძის მამას სახლში შემზარავი სურათი დახვდა. სწორედ მან იპოვა მოკლული შვილი მეგობართან, გუგა კოღუასთან ერთად.

გასროლის ხმა არავის გაუგია, რაც აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ ამ ბინაში მაყუჩიანი იარაღით ისროლეს.

მკვლელობის ბოლო ვერსიის მიხედვით, გუგა კოღუამ შაკო ტყემალაძეს მოკლე ტექსტური შეტყობინება გაუგზავნა და შეხვედრა სთხოვა.

გამოძიების მასალებს თან დართული აქვს ეს შეტყობინებები.

ბინაში ცხედრებთან ერთად ნახეს მკვლელობის იარაღიც, რის შემდეგაც გაჩნდა ვერსია, რომ გუგა კოღუას იარაღი გაუვარდა და მეგობრის მკვლელობის შემდეგ თავი მოიკლა. საქმის მასალებს დართული აქვს მკვლელობის იარაღის ფოტოც, რომელიც ასევე მოკლე ტექსტური შეტყობინებით არის გაგზავნილი.

გამოძიება დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მუხლით მიმდინარეობს.

ამ ეტაპზე საქმეში მესამე პირის კვალი არ ფიგურირებს, თუმცა პოლიცია სწავლობს ყველა შესაძლო ვერსიას, დანიშნულია ათამდე ექსპერტიზა, რითიც გავრცელებული ვერსიები უნდა გამყარდეს ან გამოირიცხოს.

მალხაზ მაჩალიკაშვილის ძმისშვილი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 20-21 ივნისს პარლამენტის წინ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით კიდევ 2 პირი დააკავა.

ამის შესახებ შსს-ს განცხადებაშია ნათქვამი.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 2019 წლის 20-21 ივნისს პარლამენტის წინ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობის და მასში მონაწილეობის ფაქტზე, კიდევ 2 პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულები პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენების დროს, მონაწილეობას იღებდნენ განხორციელებულ ჯგუფურ ძალადობაში, პოლიციელებზე თავდასხმაში და ორგანიზებულად, შტურმით ცდილობდნენ პარლამენტის შენობაში შეჭრას.

კერძოდ, დადგინდა, რომ 1993 წელს დაბადებული მ.მ., ფიზიკური ძალის გამოყენებით თავს დაესხა სამართალდამცველებს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ჯგუფურ ძალადობრივ მოქმედებაში, ხოლო 1976 წელს დაბადებული გ.ქ. სამართალდამცველებს ურტყამდა რეზინის ღვედს და მონაწილეობდა ჯგუფურ ძალადობაში.

აღსანიშნავია, რომ აქციაზე ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობის ბრალდებით, პასუხისგებაში მიცემულია ჯამში 19 პირი, მათ შორის პარლამენტის წევრი ნიკანორ მელია.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ინტენსიურად აგრძელებს გამოძიებას 20-21 ივნისს პარლამენტის წინ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე და 315-ე მუხლებით“, – აღნიშნულია განცხადებაში.

როგორც „კურიერისთვის“ გახდა ცნობილი, შსს-ს მიერ დაკავებულ პირთა შორის მორის მაჩალიკაშვილიც არის.

მორის მაჩალიკაშვილი მალხაზ მაჩალიკაშვილის ძმისშვილია.

მკვლელობისთვის ახალციხეში გ.მ.-ს 8 წლით პატიმრობა მიესაჯა

განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარებისთვის ბრალდებულს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ახალციხის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარებისთვის ბრალდებული გ.მ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 3 დეკემბერს, დღის საათებში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოკაში გ.მ.-მ შურისძიების მოტივით, მოკვლის მიზნით, პისტოლეტის გამოყენებით, რომელსაც ატარებდა მართლსაწინააღმდეგოდ, ხ.ტ.-ს გულმკერდისა და სახის არეში მიაყენა ცეცხლნასროლი ჭრილობები, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა გ.მ. 2018 წლის 3 დეკემბერს ნინოწმინდაში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლითა და 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით (განზრახ მკვლელობა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ახალციხის რაიონულმა სასამართლომ გ.მ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

რუსთავში ჰონდა აუდის დაეჯახა

დაშავდა 35 წლის ქალი

26 ივლისს ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა რუსთავში, შოთა რუსთაველის ძეგლთან.

ერთმანეთს ჰონდასა და აუდის მარკის ავტომობილები დაეჯახა. ავარიის შედეგად დაშავდა 35 წლის ქალი.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟმა დაშავებული კლინიკა რუსთავში გადაიყვანა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია. გამოძიება სსკ 276-ე მუხლით დაიწყო.

ესპანეთში მთავრობის შექმნა კვლავ ვერ მოხერხდა

სოციალისტების ლიდერმა პედრო სანჩესმა მთავრობის შესაქმნელად საჭირო ხმები პარლამენტში კვლავ ვერ მოაგროვა. მეორე ცდაზეც მას მხარი მხოლოდ საკუთარი პარტიის წევრებმა და კიდევ ერთმა დეპუტატმა დაუჭირეს.

124 მომხრე იყო, 155 – წინააღმდეგი, 67-მა თავი შეიკავა.

პირველი კენჭისყრის ჩავარდნის შემდეგ სოციალისტებმა ცადეს კოალიციის შექმნა მემარცხენე პოდემოსთან, მაგრამ ამ უკანასკნელებმა მოითხოვეს ვიცეპრემიერისა და 5 მინისტრის პორტფელები. ეს სოციალისტებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

– მათ ყველაფრის წაღება უნდოდათ, – განაცხადა სოციალისტმა ვიცეპრემიერმა კარმენ კალვომ.

პოდემოსის ლიდერი პაბლო იგლესიასი მოლაპარაკებების ჩავარდნას სოციალისტებს აბრალებს.

ახლა პარლამენტში გასულ პარტიებს კოალიციური მთავრობის შესაქმნისთვის მოლაპარაკებების საწარმოებლად ორი თვე აქვთ. თუ შეთანხმებას ვერ მიაღწევენ, ვადამდელი არჩევნები დაინიშნება.

არჩევნები ესპანეთში 28 აპრილს ჩატარდა. მოქმედი პრემიერის პედრო სანჩესის სოციალისტური პარტია პირველ ადგილზე გავიდა და 123 მანდატი მოიპოვა, მაგრამ ეს მთავრობის ჩამოსაყალიბებლად 350-ადგილიან პარლამენტში საკმარისი არ არის.

სანჩესი ინერციით აგრძელებს მოვალეობების შესრულებას.

პუტინმა უკრაინის პრორუსული ძალები გააკრიტიკა



„მათგან არჩევნებზე უკეთეს შედეგს ველოდი“

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ უკრაინული არჩევნების შედეგებით უკმაყოფილოა. მისი აზრით, პრომოსკოვურ ძალებს უფრო მაღალი შედეგისთვის უნდა მიეღწიათ.

– ყველა საფუძველი იყო საიმისოდ, რომ რუსეთთან დაახლოების მომხრეებს 30-32% მიეღოთ. ეს არ მოხდა. მეტიც, ოპოზიციური ბლოკის რეიტინგი 2014 წლის შემდეგ არ გაზრდილა. ეს კატასტროფაა, – ამბობს პუტინი.

რუსეთის პრეზიდენტის აზრით, უკრაინაში ორი ერი არსებობს. სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონი რუსეთზეა ორიენტირებული, დასავლეთის რეგიონი – დასავლეთზე. ამან არჩევნებში იმიტომ არ ჰპოვა ასახვა, რომ პრორუსულ ძალებს ოლიგარქები ედგნენ სათავეში.

– აუცილებელია, ხალხის წიაღში წარმოიქმნას ბელადი, რომელსაც მასები გაჰყვებიან! მაშინ სულ სხვა სურათი გვექნება, – ამბობს პუტინი.

რუსეთის პრეზიდენტმა კვლავ გაიმეორა ძველი თეზისი: ერთიანი უკრაინა არ არსებობს და მშვიდობა ვერ დამყარდება მანამ, სანამ ეს ქვეყანა თავის დღევანდელ საზღვრებში არსებობს.

– დასავლეთმა ეს უნდა გააცნობიეროს! უნდათ ევროპის ცენტრში ახალი სირიის ან ავღანეთის გაჩენა?! არა?! მაშინ ან უკრაინის ფედერალიზაციას უნდა შეუწყონ ხელი, ან მისი დაშლას! – აცხადებს ბატონი პრეზიდენტი.

სილამაზის დედოფალს ტიტული ჩამოართვეს და „მის მსოფლიოდან“ გამოაგდეს

სილამაზის კონკურს „მის მიჩიგანის“ გამარჯვებულ კეტი ჩუს ტიტული ჩამოართვეს და კონკურსში „მის მსოფლიო ამერიკა“ მონაწილეობას ჩამოაცილეს. ეს ყოველივე კი ტვიტერში გამოქვეყნებულ მის წერილებს მოჰყვა.

კონკურსების „მის მსოფლიო ამერიკისა“ და „მის მიჩიგანის“ ხელმძღვანელების ელექტრონულ წერილში გოგონას მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ წერილებს „შეურაცხმყოფელი, უადგილო და უგულო“ უწოდეს. თუმცა მათ არ დაუკონკრეტებიათ, თუ რომელ წერილებზე იყო საუბარი.

თავად ჩუ თვლის, რომ საკუთარი კონსერვატიული შეხედულებების გამო დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდა. მისი აზრით, კონკურსების ორგანიზატორების უკმაყოფილება ტვიტერში მის მიერ 2017 და 2018 წლებში გამოქვეყნებულმა ორმა წერილმა გამოიწვია.

ერთი წერილი მიჩიგანის უნივერსიტეტის კამპუსში დადგმულ კარავ „ჰიჯაბის მაგალითს“ შეეხებოდა და ისლამზე იყო საუბარი, მეორეში კი ის შავკანიანების პრობლემებს შეეხებოდა.

– თქვენთვის ცნობილია, რომ შავკანიანების უმრავლესობა სხვა შავკანიანების გამო იღუპება? ჯერ საკუთარ პრობლემებში გაერკვიეთ და შემდეგ დაადანაშაულეთ სხვები, – წერდა ჩუ. ამ დროისთვის ორივე მისი წერილი წაშლილია.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ბრიტანეთში რუსული არხი 250.000 დოლარით დააჯარიმეს

ბრიტანეთის მედიამარეგულირებელმა ოფკომმა რუსეთის ახალი ამბების არხი რაშა თუდეი მაუწყებლობის წესების დარღვევისთვის 200.000 ფუნტით (250.000 აშშ დოლარი) დააჯარიმა.

ოფკომმა გაავრცელა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ ახალი ამბების არხი რეგულაციების შეუსრულებლობის გამო დაჯარიმდა.

„ოფკომის წესების თანახმად, ახალი ამბების გაშუქება მიუკერძოებლად უნდა განხორციელდეს. მოკვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ 17 მარტიდან 26 აპრილის პერიოდში რაშა თუდეის 7 სატელევიზიო პროგრამაში დაფიქსირდა ობიექტურობის დარღვევის შემთხვევები“, – ნათქვამია მარეგულირებლის განცხადებაში.

დარღვევების უმრავლესობა სკრიპალების მოწამვლის საქმესა და სირიის კონფლიქტის გაშუქებას უკავშირდება.

ბრიტანული მარეგულირებელი რაშა თუდეისგან მოითხოვს, რომ მისი მოკვლევის შედეგები ტელეარხმა მაყურებელს გააცნოს.

ირანმა საშუალო რადიუსის ბალისტიკური რაკეტა „შაჰაბ-3“ დატესტა

ირანმა საშუალო რადიუსის ბალისტიკური რაკეტა გამოცადა.

რაკეტა „შაჰაბ-3“ ირანის სამხრეთიდან გაუშვეს. მან ჩრდილოეთის მიმართულებით დაახლოებით 960 კილომეტრი იფრინა და თეირანის მახლობლად მდებარე უდაბნოს ტერიტორიაზე დაეშვა.

რაკეტის გაშვება თეირანსა და დასავლეთს შორის დაძაბული ურთიერთობის ფონზე განხორციელდა.

სიტუაცია განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, რაც ირანმა სპარსეთის ყურეში ბრიტანეთის დროშის ქვეშ მცურავი ტანკერი სტენა იმპერო საერთაშორისო სანაოსნო რეგულაციების დარღვევისთვის დააკავა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მოზარდი მთელი თვე ლოყაში შერჭობილი შუშით დადიოდა



ახალგაზრდა ესპანელი რამდენიმე კვირა ყვრიმალთან ახლოს ლოყით შუშის ნამსხვრევს დაატარებდა.

14 წლის მოზარდს ლოყაში მინის ნამსხვრევი იმ დროს შეერჭო, როდესაც გონება დაკარგა და შემთხვევით ფანჯრის მინა ჩაამსხვრია. ექიმებმა ბიჭს 12 მილიმეტრი სიგანის იარა დაუმუშავეს, ნაკერები დაადეს და სახლში გაუშვეს.

მოზარდი დიდი ხნის განმავლობაში იტანდა ტკივილს ყბების ამოძრავების დროს. ერთი თვის შემდეგ კი ის სხვა საავადმყოფოში გასინჯეს და ყვრიმალთან 3,8 მილიმეტრი სიგრძის შუშის ნამსხვრევი აღმოუჩინეს, რომელიც ფორმით დანის პირს წააგავდა. როგორც ჩანს, ის მაშინვე ვერ შენიშნეს, ვინაიდან მას ყბა და ყვრიმალის ძვალი ფარავდა.

მოზარდს სევილიის უნივერსიტეტის საავადმყოფო ვირხენ დე როსიოში გაუკეთეს ოპერაცია და წარმატებით ამოაცალეს მინის ნამსხვრევი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

სხვადასხვა

- შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

- ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.
- ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტეროზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

დინამო ფეიეზოორდისთვის ემზადება

გაბალა-დინამო (თბ) 0:2

გაბაღა. სითი სთედიუმი

0:1 კუტალია (41), 0:2 დაფე (87)

გაბალა: ნაზიროვი, სეიდიევი, ზუნიჩი, რამალდანოვი, ალიევი (მამადოვი 85), ბოკე, ისკანდაროვი (კუაკუ 77), ფერეიროა ლოპესი, ნაბიევი, გიგაური, ვოლკოვი (მურადოვი 61)

დინამო: პერალესი, მონხილი, კობოური, ქიმაძე, იაშვილი, პაპავა, ნინუა, ქავთარაძე (დაფე 74), შენგელია (კარიკარი 86), კუხიანიძე (ქარდავა 65), კუტალია

გაბალას სითი სთედიუმზე უეფას ევროპა ლიგის მე-2 საკვალიფიკაციო რაუნდის პირველი შეხვედრა გაიმართა და თბილისის დინამომ იოლად, თავისუფლად და ლაღად დაამარცხა აზერბაიჯანული გაბალა.

დინამოს 4 წლის წინ განცდილი მარცხისთვის რევანში ჰქონდა ასაღები და ეს დავალება შეასრულა. თუ რამე სასწაული არ მოხდა, დინამოელები შემდეგ ეტაპზე უნდა გავიდნენ.

მატჩი მთლიანობაში საინტერესოდ ჩატარდა. პირველი სახიფათო მომენტი მასპინძლების იყო, როდესაც ბოკე მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ხოსე პერალესს ვერ აჯობა.

ასპროცენტიანი შანსი კი ლევან კუტალიას ჰქონდა, მაგრამ საოცრად ითამაშა გაბალელთა მეკარე ნაზიროვმა, რომელმაც ქართველი შემტევის 2 მეტრიდან დარტყმული თავური სასწაულებრივად უკუაგდო.

აზერბაიჯანელებს ლევან შენგელია და ნოდარ ქავთარაძეც აწუხებდნენ. საპასუხოდ მასპინძლების თამაშს ბოკე ამწვავებდა.

დინამოელებმა თავისი უპირატესობა 41-ე წუთზე ლოგიკური გოლით ასახეს. 21-პასიანი კომბინაცია ნოდარ იაშვილის გადაცემით და ლევან კუტალიას ზუსტი დარტყმით დასრულდა – 0:1.

ამის შემდეგ საჯარიმოს მისადგომებიდან კუტალიას გასროლაა აღსანიშნავი, რომელმაც ახლოს ჩაუარა მეტოქის კარს.

თამაშის სცენარი არც მე-2 ტაიმში შეცვლილა. მასპინძლებს დავით ვოლკოვის დარტყმის შემდეგ შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, თუმცა ხოსე პერალესმა შესანიშნავად ითამაშა. დინამოელებმა კი მე-2 გოლამდე არაერთხელ შეაწუხეს მეტოქის გოლკიპერი. განსაკუთრებით ნიკა ნინუასა და ლევან შენგელიას დარტყმებია გამოსაყოფი. კუტალიას ტექნიკური დარტყმა კი ძელმა აისხლიტა.

სტუმართა რიგებში კვამე კარიკარის დებიუტიც ვიხილეთ, რამდენიმე წუთში კი მის და არფან დაფეს კომბინაციას ამ უკანასკნელის ულამაზესი და უზუსტესი დარტყმა მოჰყვა – 0:2.

დინამო თბილისში საგრძნობი უპირატესობით ბრუნდება.

ჩიხურამ აბერდინთან შანსი დაიტოვა

ჩიხურა-აბერდინი 1:1

თბილისი. დინამო არენა

0:1 კორიფაძე (41პ), 1:1 კოსგროუვი (68პ)

ჩიხურა: ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი (ჩიხლაძე 74), კორიფაძე, კაშია, მაისაშვილი, მამასახლისი, ლექვთაძე (ფანცულაია 76), ერგემლიძე, დეკანოიძე, ჩიკვაიძე, სარდალიშვილი

აბერდინი: ლუისი, ლოგანი, კონსაიდინი, მაქქენა, მაქგინი, ჰეიჯსი, ტეილორი (ბრაისონი 18), კოსგროუი, ფერგიუსონი, გალაჰერი (უილსონი 82), ოიო

საოცრებებს ახერხებს საჩხერის ჩიხურას მწვრთნელი სოსო ფრუიძე. ზემო იმერული კლუბის მთავარმა მწვრთნელმა მატჩამდე თქვა, რომ ძლიერი გუნდი ყოველთვის როდი იმარჯვებს, მოწინააღმდეგეს სუსტი წერტილები აქვს და მათ გამოყენებას შევეცდებითო. ჰოდა, ჩიხურამ მასზე გაცილებით ძლიერ გუნდს შინ ფრედ, 1:1 ეთამაშა. თუმცა, მეტიც შეეძლო, რომ არა მატჩის მიწურულს შეტევაში ცუდი გარჯა.

შოტლანდიის მე-4 გუნდთან ჩიხურამ თამაში არ გახსნა, მეტოქეს სივრცეები შეუზღუდა, ხოლო ძალისმიერ აბერდინს გაუჭირდა უფრო მოძრავი გუნდის წინააღმდეგ თამაში.

მართალია, მაყურებელმა თვალსასეირო მატჩი ვერ იხილა, მაგრამ არც შედეგით იქნება უკმაყოფილო.

დასაწყისში უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ, ფრუიძის შეგირდები კი ძირითადად დაცვით იყვნენ დაკავებულნი. თუმცა, ჭკვიანურად და გეგმაზომიერად იცავდნენ თავს.

პარალელურად, ჩიხურა ცდილობდა, თუკი შანსი მიეცემოდა, მეტოქე შეეწუხებინა და ასეც მოხდა. 41-ე წუთზე მასპინძლებმა ანგარიში გახსნეს. აბერდინის მცველმა საჯარიმოში შესული ირაკლი ლექვთაძე წააქცია და მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა. ბურთთან გიორგი კორიფაძე მივიდა და შანსი ხელიდან არ გაუშვა.

ტაიმის დარჩენილ დროში, უპირატესობას კვლავ სტუმრები დაეუფლნენ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს და პირველი ნახევარი 1:0 დასრულდა.

მე-2 ტაიმი საკმაოდ საინტერესო გამოდგა. მომენტები ორივე კართან იქმნებოდა, თუმცა ფეხბურთელებს ხან სიზუსტემ უმტყუნათ, ხანაც მეკარეები ყოჩაღობდნენ.

68-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა. დავით მაისაშვილმა საჯარიმოში ხელით ითამაშა და მსაჯმა კიდევ ერთი პენალტი დანიშნა. სტანდარტულის შესრულება თავის თავზე სემ კროსგროვმა ითავა და ანგარიში გაათანაბრა.

ამის შემდეგ საჩხერელები კვლავ უტევდნენ. ერთ-ერთ ეპიზოდში რევაზ ჩიტეიშვილმა ძლიერად დაარტყა, თუმცა ბურთი კარს მცირედით ასცდა.

85-ე წუთზე ჩიხურას გოლის გატანის რეალური შანსი ჰქონდა. მიხეილ ერგემლიძემ მახვილი კუთხიდან დაარტყა, გოლი თითქოს გარდაუვალი ჩანდა, როდესაც მეკარემ ბრწყინვალედ ითამაშა.

დარჩენილ დროში ანგარიში აღარ შეცვლილა აბერდინისა და ჩიხურას განმეორებითი მატჩი პირველ აგვისტოს შოტლანდიაში გაიმართება. წყვილში გამარჯვებული კი ხორვატიულ რიეკას შეხვდება.

ბასილაშვილი ტიტულის დასაცავად მიიწევს

ქართველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი აგრძელებს ჰანბურგის ტურნირზე წარმატებით გამოსვლას.

ჰამბურგში მიმდინარე 500-იანი ევროპის ღია პირველობის (საპრიზო ფონდი 1.718.170 ევრო) მე-3 წრეში ნიკოლოზ ბასილაშვილმა (16) ფრანგი ჟერემი შარდი (77) 2 სეტში, იოლად და ყოველგვარი დაძაბვის გარეშე დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა, სადაც სერბ ფილიპ კრაინოვიჩსა და გერმანელ ალეკსანდრ ზვერევს შორის მოგებულს დაუპირისპირდება.

შეგახსენებთ, რომ ბასილაშვილმა, რომელიც ჰამბურგში მე-4 ნომრად განთესეს, შარშან გერმანიაში ტიტული მოიპოვა, რის გამოც 520 ქულა აქვს დასაცავი და იმისთვის, რომ რეიტინგის ტოპ 20-ში ადგილი არ დაკარგოს, ფინალში მაინც უნდა გავიდეს.

აქამდე ბასილაშვილსა და შარდის ერთმანეთთან ორჯერ ჰქონდათ ნათამაშები და ორივეჯერ მოგება ფრანგმა მოახერხა, ამჯერად კი 27 წლის ქართველი ჩოგბურთელის უპირატესობა თავიდანვე ძალიან აშკარა იყო და მატჩი მისივე გამარჯვებით დასრულდა. შეხვედრამ მხოლოდ საათსა და 9 წუთს გასტანა.

პირველ სეტში ნიკამ მეტოქის პირველივე მოწოდება აიღო და 3:0 დაწინაურდა. რის შემდეგ საქმის ბოლომდე მიყვანა პრობლემა არ უნდა ყოფილიყო და ასეც მოხდა. ნიკამ მეტოქეს მხოლოდ 2 გეიმი ააღებინა.

კორტზე მდგომარეობა დიდად არც მეორე სეტში შეცვლილა. ერთია, ჟერემი შარდმა პირველი გეიმი ნიკას მოწოდებაზე კი მოიგო, მაგრამ მომდევნო დათმო. ფრანგმა თავისი მოწოდებაზე კიდევ ერთხელ 3:4-ზე წააგო, მატჩ-პოინტი კი უკვე ბასილაშვილის იყო.

შეგახსენებთ, რომ ჰამბურგის ტურნირის მეოთხედფინალამდე ბასილაშვილმა არგენტინელ ხუან იგნასიო ლონდეროსა (6:4, 3:6, 6:3) და ბოლივიელ უგო დელიენს (6:4, 6:3) აჯობა.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

ქალი მასაჟზე მივიდა და გარდაიცვალა

ტაილანდის ქალაქ ჩიანგმაიში ფეხმძიმე ქალი ფეხების მასაჟზე მივიდა, იქ კომაში ჩავარდა და ნახევარი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

25 წლის ვირავან კედკესრიმ 11 იანვარს ფეხების ტერფების მასაჟის დროს გონება დაკარგა. ის დაუყოვნებლივ საავადმყოფოში გადაიყვანეს. სასწრაფო დახმარების განყოფილებაში ქალმა ინსულტი და გულის გაჩერება გადაიტანა, რის შედეგადაც მუცელი მოეშალა. ექიმებმა მას ფილტვის არტერიის ტრომბოემბოლია დაუდგინეს.

კედკესრი კომაში ჩავარდა. ნახევარი წლის შემდეგ ოჯახის წევრებმა ჩათვალეს, რომ მას გამოჯანმრთელების უმნიშვნელო შანსიც კი აღარ ჰქონდა. 19 ივლისს მათი თხოვნით ქალი ხელოვნური სუნთქვის აპარატიდან გამორთეს.

– ჩვენთვის რთული იყო ამ გადაწყვეტილების მიღება, – განაცხადა გარდაცვლილის დეიდა ჩაივატ კამიამ, – თუმცა ახლა ის მშვიდად განისვენებს.

ადგილობრივმა პოლიციამ მასაჟისტ სუტანი კავის, რომელიც გარდაცვლილს ემსახურებოდა, ბრალდება წაუყენა. ხელისუფლებაში ფიქრობენ, რომ კავი არასაკმარისად კვალიფიციური იყო საიმისოდ, რომ ფეხმძიმე ქალისთვის მასაჟი გაეკეთებინა.

ჭაობის ნიანგმა გოგონას ხელი მოაჭამა

ირანის პროვინცია სისტანი და ბელუჯისტანში ჭაობის ნიანგი ბავშვს თავს დაესხა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს.

სოფელში სუფთა წყლის არარსებობის გამო 10 წლის ჰავე რაისისა და მის დებს თეთრეულის რეცხვა მდინარე ბახუკტლაში უწევთ. ნიანგი გოგონას იმ დროს დაესხა თავს, როდესაც ის ნაპირზე იმყოფებოდა. თვითმხილველთა თქმით, ნიანგის სიგრძე დაახლოებით ექვსი მეტრი იქნებოდა.

– ის ცდილობდა, კისერში მწვდომოდა და წყალში ჩავეთრიე, – იხსენებს ჰავე, – მას ეს რომ მოეხერხებინა, ნამდვილად დავიღუპებოდი. გოგონამ უკან გადაწევა მოასწრო და რეპტილიამ პირი მარჯვენა ხელში ჩაავლო.

გოგონას დასახმარებლად დები მისცვივდნენ. ისინი ნიანგს დის წყალში ჩათრევას არ ანებებდნენ, რეპტილიას ქვებს ესროდნენ. საბოლოოდ მათ დის მტაცებლისგან გათავისუფლება მოახერხეს, მაგრამ მიღებული ჭრილობების შედეგად გოგონამ ხელი დაკარგა.



ხუთმეტრიანმა პითონმა ტაძარს შეაფარა თავი

ტაილანდის ქალაქ ჩონბურიში ჩინურ ტაძარში ხუთმეტრიანი პითონი დაიჭირეს, რომელიც იქ ცდილობდა დამალვას.

უზარმაზარი ქვეწარმავალი ძაღლმა აღმოაჩინა.

– ყეფა გავიგონე და დავინახე, რომ გველი ჩემს ძაღლს უსისინებდა, – განაცხადა ტაძრის ზედამხედველმა, 67 წლის კაჯორა პოხსრიმ.

ის პითონის დაჭერას შეეცადა, თუმცა ქვეწარმავალი გაუსხლტა. გველი ღმერთებისათვის მირთმეულ შესაწირავ ნივთებს შორის გაძვრა და იქ დამკვიდრდა. ამის შემდეგ პოხსრი იძულებული გახდა, პროფესიონალი გველებზე მონადირეები გამოეძახებინა.

– ვშიშობდი, რომ რომელიმე ტაძარში სალოცავად მოსული დაშავებულიყო, – განმარტა მან.

გველებზე მონადირე ჩატრი ჩატმონტრიკაუგხტმა უპრობლემოდ მოახერხა პითონის დაჭერა, შემდეგ ის სპეციალურ ტომარაში მოათავსა და ოდნავ მოგვიანებით ტყეში გაუშვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სითბოს დაკვრა

ადამიანის ორგანიზმმა შეიძლება ვერ გაუძლოს მაღალი ტემპერატურის მოქმედებას, რასაც თან სდევს სითბოს რეგულაციის დარღვევა და ორგანიზმიდან სითბოს არასაკმარისი გაცემა.

სითბოს დაკვრა ვითარდება ორგანიზმის გადახურების დროს, ცხელ ამინდში მუშაობისას ან შენობაში მუშაობისას, სადაც მაღალი ტემპერატურაა. მდგომარეობის განვითარებას ხელს უწყობს უჟანგბადო გარემო, გადაღლა, ჰაერის ტენიანობა, ორგანიზმში სითხის დეფიციტი, მოჭერილი ტანსაცმლით დიდხანს მუშაობა.

თუ ატმოსფერული ტემპერატურა ადამიანის სხეულის ტემპერატურაზე მეტია, მაშინ კანის სისხლძარღვების გაფართოება და ფილტვების ვენტილაციის მომატება სითბოს გაცემას კი არ აძლიერებს, პირიქით, სითბოს აჩერებს. როცა ჰაერი გაჯერებულია წყლის ორთქლით, სითბოს გაცემა ოფლის აორთქლებით გაძნელებულია. ამ დროს ატმოსფეროს ტემპერატურისა და სხეულის ტემპერატურის ნორმალური თანაფარდობის ან უფრო დაკლების (30-37 გრადუსი) მიუხედავად, ორგანიზმის გადახურება ვითარდება.

ორგანიზმის გადახურება იწვევს ნივთიერებათა ცვლის გაძლიერებას და მის დარღვევას: ძლიერდება ცხიმებისა და ცილების დაშლა. წარმოიქმნება უჟანგავი პროდუქტები, რომლებიც წამლავს ორგანიზმს (აუტოინტოქსიკაცია). შარდისა და ოფლის გამოყოფის შეწყვეტისას ორგანიზმში მავნე პროდუქტები გროვდება. ამ დროს შეიძლება განვითარდეს ორგანიზმის კომური მდგომარეობა.

ადამიანის ორგანიზმის გადახურება იწყება მაშინვე, როგორც კი ირღვევა სითბოს გაცემა ოფლის გამოყოფის გზით. სითბოს პროდუქცია მატულობს კუნთების მომატებული მუშაობის ფონზე, თავის ტვინში ხდება სითბოს მარეგულირებელი ცენტრების გაღიზიანება, სხეულის ტემპერატურის მომატება იწვევს სუნთქვითი ცენტრების გაღიზიანებას, რის საფუძველზეც ვითარდება ქოშინი.

სითბოს დაკვრის წინ კანი მკვეთრად წითლდება, გაძლიერებულია ოფლის გამოყოფა, ტაქიკარდია, სუნთქვა აჩქარებულია. ახასიათებს თავბრუსხვევა, გულისრევა, ძილად მივარდნა. მოსალოდნელია კანის უეცარი გაცივება, ორგანიზმის ტემპერატურა კი 40 გრადუსამდე შეიძლება იყოს მომატებული, მაჯა აჩქარებული, მაგრამ ძაფისებურია, წნევა ეცემა, კანი ფერმკრთალდება, დაფარულია მწებავი ოფლით. შეიძლება განვითარდეს კომა.

სითბურ დაკვრას წინ უსწრებს ოფლის გამოყოფა, რაც ორგანიზმში წყლისა და მარილის დაკარგვას უწყობს ხელს. ამ დროს სისხლი სქელდება, რაც სისხლის მიმოქცევას აძნელებს, ვითარდება ქსოვილოვანი ჰიპოქსია (უანგბადით შიმშილი). ხშირია კრუნჩხვები. გულ-სისხლძარღვთა სისტემის უკმარისობის მომატებისას შეიძლება სავალალო შედეგი დადგეს და ავადმყოფი დაიღუპოს.

ძლიერ სიცხეში მუშაობისას საჭიროა ხშირი დასვენება და წყლისა და მარილიანი სასმელების დიდი რაოდენობით მიღება. თუ ადამიანი ცხელ პირობებში მუშაობს, უნდა ჭამოს მუშაობის დაწყებამდე 2-3 საათით ადრე.

მკურნალობა: ექიმის გამოძახებამდე ავადმყოფი სუფთა ჰაერზე უნდა მოთავსდეს, ოღონდ სიგრილეში. გათავისუფლდეს მოჭერილი ტანსაცმლისგან. თუ გრძნობაზე არის, უნდა მიეცეს დიდი რაოდენობით წყალი. უმჯობესია, კიდურებზე, თავზე თუ დავადებთ ცივ საფენებს. სისხლის მიმოქცევისა და სუნთქვის დასარეგულირებლად ექიმის ჩარევა აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მდგომარეობა დამძიმდეს. უნდა აღდგეს ორგანიზმის წყალ-მარილოვანი ბალანსი. ავადმყოფს უნდა მიეცეს ცე და ბე ვიტამინები.

რვა წლის ბიჭი ექვსი წელი კისრით ნემსს ატარებდა



ჩინეთის პროვინცია ხენანში რვა წლის ბიჭმა ექვსი წელი კისერში ნემსის ფრაგმენტით იცხოვრა.

ბავშვის პაპა ამჩნევდა, რომ ის ნაკლებად მოძრავი იყო და ხშირად ეცემოდა, თუმცა ამ ყველაფერს ორგანიზმში კალციუმის დეფიციტს მიაწერდა. როდესაც ბიჭმა კისრის არეში გახშირებული ტკივილების გამო დაიჩივლა, ოჯახმა ის საავადმყოფოში წაიყვანა.

კომპიუტერულმა ტომოგრაფიამ აჩვენა, რომ ბავშვის ხერხემლის არხში ორი პატარა ლითონის საგანი, კიდევ ერთი კი ტრაქეის მიდამოებში იყო.

ნეიროქირურგმა ლი ტაომ ოჯახი გააფრთხილა, რომ დაყოვნების შემთხვევაში, შესაძლოა, ბავშვი პარალიზებული დარჩენილიყო. მან ასევე განმარტა, რომ ნემსის ფრაგმენტები ძალიან ახლოს იყვო ტრაქეასა და არტერიებთან და ოპერაციის გაკეთება დიდი რისკის ქვეშ მოუწევდათ.

შვიდსაათიანი ოპერაციის შედეგად ქირურგებმა წარმატებით შეძლეს ნემსის ნაწილების ბავშვის ორგანიზმიდან ამოღება. ამჟამად ის რეაბილიტაციის კურსს გადის. მშობლებმა ვერაფრით ახსნეს, თუ როგორ მოხვდა მათი შვილის ორგანიზმში 5- სანტიმეტრიანი საკერავი ნემსი.

კატის ნაკაწრის გამო ქალმა თითები დაკარგა



შოტლანდიის ქალაქ გლაზგოს მცხოვრები ქალი ოქროსფერი სტაფილოკოკითა და ა ჯგუფის სტრეპტოკოკით მას შემდეგ დასნებოვნდა, რაც უპატრონო კატამ დაკაწრა.

45 წლის მოირა ბრედის თქმით, მისი სახლის ეზოში ორმა უპატრონო კატამ იჩხუბა. როდესაც ქალი მათ გაყრას შეეცადა, ერთ-ერთმა მარცხენა ხელზე დაფხაჭნა. რამდენიმე დღეში მას ხელი გაუსივდა, ხოლო არათითი გაულურჯდა.

ქალმა საავადმყოფოს მიმართა, სადაც მას ექიმებმა ორგანიზმში სიცოცხლისთვის საშიში ბაქტერიები აღმოუჩინეს. ქირურგები იძულებულნი გახდნენ, პაციენტისთვის დაზიანებული თითის ამპუტაცია გაეკეთებინათ.

– ინფექცია მთელ სხეულში ვრცელდებოდა. ექიმებმა მითხრეს, რომ შესაძლოა დავღუპულიყავი ან, მინიმუმ, მთლიანად ხელი დამეკარგა, – იხსენებს ბრედი, – ქირურგები სამსახურში ხუთ საათზე მეტი დროით შეჩერდნენ, რათა გადავერჩინე. ისინი სასწრაფოდ მიკეთებდნენ სისხლის გადასხმებს.

ბრედიმ საავადმყოფოში ერთი თვე გაატარა, ამ დროში მას ხელზე ორჯერ გადაუნერგეს კანი. ამჟამად ის მორიგი ოპერაციისთვის ემზადება.

ოთხმეტრიანი პითონისა და ალიგატორის ორთაბრძოლა ვიდეოზე გადაიღეს

ამერიკის ფლორიდის შტატის ევერგლეიდსის ეროვნული პარკის დამთვალიერებელი პითონისა და ალიგატორის ორთაბრძოლის თვითმხილველი გახდა.

როდესაც იუენ უილსონი რეპტილიების ბრძოლას გადაეყარა, ის უკვე დასასრულისკენ მიდიოდა. ოთხმეტრიანი ვეფხვისებური პითონი წარუმატებლად ცდილობდა დაახლოებით სამი მეტრი სიგრძის ალიგატორის ყბებისგან თავის დაღწევას, თუმცა ის ყბებს არ ხსნიდა, დროდადრო კი მას აქეთ-იქით ახეთქებდა, რითიც მის წელში გადამტვრევას ცდილობდა.

– ამ ორთაბრძოლაში გამარჯვებული ალიგატორი გამოვიდა, შემდეგ კი თავისი მსხვერპლი ევერგლეიდსის სიღრმეში წაათრია, სადაც მის კვალზე გაყოლა შეუძლებელი იყო, – განაცხადა უილსონმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კულინარიული კუთხე

შილაფლავი აჭარულად

მასალა: ცხვრის ხორცი – 1 კილოგრამი; ბრინჯი – 500 გრამი; ხახვი – 2-3 თავი; მწვანილი – 3-3 ძირი; მარილი – გემოვნებით.

მომზადება: მსუქანი ცხვრის ხორცი ხახვთან და ცხვრის დუმასთან ერთად კარგად მოვშუშოთ. ჩავაყაროთ ქინძი, ოხრახუში, მწვანე ქონდარი, წინასწარ მოხარშული და ცივ წყალში გავლებული ბრინჯი. დავდგათ ნელ ცეცხლზე და ხშირად ვურიოთ, რომ ძირი არ მიეწვას. სუფრაზე მივიტანოთ მჟავე საწებელთან ერთად.

სუკის მწვადი

მთელი სუკი გავრეცხოთ, მოვაშოროთ ძარღვები, წამოვაგოთ შამფურზე მთელი სიგრძით. თავში და ბოლოში მაგრად შემოვახვიოთ ძაფი, წავუსვათ მარილი და შევწვათ ნაკვერჩხალზე. შამფური ხშირად უნდა ვაბრუნოთ, რადგან მწვადი ყოველი მხრიდან უნდა შეიწვას და თან შეინარჩუნოს ის წვენი, რომელიც სუკს აქვს. ასეთნაირად მომზადებული მწვადი შეიძლება შეიწვას ღუმელშიც. სუკი ისე ძალიან არ უნდა შევწვათ, რომ გამოხმეს. გაჭრისას შიგნიდან უნდა მოჟონავდეს ვარდისფერი სითხე. როგორც კი მზად იქნება, მწვადი სუფრაზე მივიტანოთ შამფურით და მოგრძო-მოგრძო, თხელ ნაჭრებად დავჭრათ.

ცხვრის მწვადი მწყემსურად

მასალა: ცხვრის ან ბატკნის ხორცი – 1 კილოგრამი; ცხვრის დუმა – 100 გრამი; მწვანე ხახვი – 200 გრამი; ოხრახუში – 3 ძირი; მარილი, პილპილი – გემოვნებით.

მომზადება: მსუქანი ცხვრის ან ბატკნის ხორცი (როგორც ნეკნებიანი, ისე რბილი ადგილები) დავჭრათ თანაბარ ნაჭრებად. მოვაყაროთ მარილი, პილპილი, კარგად ავურიოთ და ჩავაყაროთ თუჯის ქვაბში (ან ტაფაში), დავდგათ ძლიერ ცეცხლზე და შევწვათ თავისივე სიმსუქნეში. ხანგამოშვებით ვურიოთ ისე, რომ თითოეული ნაჭერი კარგად გაწითლდეს. როდესაც შეიწვება, მწვადს მოვაყაროთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში და 3 სანტიმეტრის სიგრძეზე დაჭრილი ახალი მწვანე ხახვი.

ყიყლიყო

მასალად საჭიროა: კვერცხი – 2 ცალი; პური – საჭირო რაოდენობის; ერბო – 2 სუფრის კოვზი; მარილი – გემოვნებით.

მომზადების წესი: კვერცხი გავთქვიფოთ მარილთან ერთად, მერე ამოვავლოთ შიგ თხლად დაჭრილი თეთრი პური და შევწვათ ორივე მხრიდან ერბომოსხმულ ცხელ ტაფაზე.

მოხარშული კარტოფილი ნიგვზით (მეორენაირად)

მასალად საჭიროა: კარტოფილი – 500 გრამი; ნიგოზი – 3/4 ჩაის ჭიქა; ბროწეულის წვენი, ბროწეულის მარცვალი, ხახვი, ნიორი, ქინძი, წიწაკა და მარილი – გემოვნებით.

მომზადების წესი: კარტოფილი მოვხარშოთ, გავაცალოთ კანი და კარგად დავსრისოთ. ნიგოზი, ნიორი, წიწაკა, ქინძი და მარილი დავნაყოთ. შემდეგ გავხსნათ მჟავე ბროწეულის წვენით, შევურიოთ კარტოფილს, მოვათავსოთ თეფშზე, შევუსწოროთ ზედაპირი, მოვრთოთ რკალებად დაჭრილი ხახვით და ხახვის თითოეულ რკალში მოვათავსოთ ბროწეულის მარცვლები.

ცივად მომზადებული ტორტი

მასალა: ნამცხვარი – 500 გრამი; რძე – 2-3 ჭიქა; კვერცხი – 3 ცალი; შაქარი – 3/4 ჩაის ჭიქა; კარტოფილის ფქვილი – 2 ჩაის კოვზი; სიროფი; ცუკატები ან მოხალული ნიგოზი.

მომზადების წესი: რძე წამოვადუღოთ. 3 კვერცხის გულის გოგლიმოგლს გავურიოთ კარტოფილის ფქვილი და არომატისათვის ცოტა ვანილი, დავუმატოთ შეგრილებული რძე და ერთხელ წამოვადუღოთ, თან ვურიოთ სწრაფად. მივიღებთ თხელ ფაფას, კრემს.

ნამცხვარი დავალაგოთ თეფშზე მრგვალად ან ოთხკუთხედად და მოვასხათ კრემი, ზემოდან დავაწყოთ მეორე ფენა და მასზეც მოვასხათ კრემი. ასე დავაწყოთ თანდათანობით 500 გრამი ნამცხვარი. ზემოდან გავაფორმოთ მურაბის შესქელებული სიროფით, ცუკატებით ან მოვაყაროთ მოხალული ნიგვზის ნამცეცები.

ასტროპროგნოზი

27 ივლისისთვის

ვერძი – იყავით გაბედული, თამამი. ხელოვნურ ურთიერთობებს ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კურო** – საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. მშვიდი დღეა. **ტყუპები** – კოლექტიური საქმიანობისათვის შეუფერებელი პერიოდია. ყოველგვარი პრობლემა ინდივიდუალურად მოაგვარეთ. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი საქმიანობა გაამართლებს. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი სრულყოფილად გამოიყენოთ. რჩევისათვის მეგობრებს მიმართეთ. **ლომი** – პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. მცდარი გადაწყვეტილება ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. **ქალწული** – კონფლიქტური დღეა. ალკოჰოლის მიღება გეკრძალებათ. ქალაქგარეთ გასვლა, მივლინებები იღბლიანი იქნება. **სასწორი** – სხვისი ზეგავლენისაგან თავი დაიცავით. გადაწყვეტილებების მიღებისას მხოლოდ საკუთარ ინტუიციას დაეყრდენით. **ღრიანკალი** – გადით ქალაქგარეთ, დაკავდით სპორტით. საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საღამოს ოჯახში სიტუაცია გეძაბებათ. **მშვილდოსანი** – ნუ გარისკავთ, თორემ ავანტიურაში ჩართვა არ აგცდებათ. თვითკონტროლი აუცილებელია. **თხის რქა** – სულიერი და მატერიალური აღმავლობის დღეა. რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. **მერწყული** – მოთმინება, თავშეკავება, სიყვარული და მიტევება დღის დევიზია. ბავშვების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. **თევზები** – სასიცოცხლო ძალები სუსტდება. მძიმე წუთებში დახმარებისათვის მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებს მიმართეთ.

28 ივლისისათვის

ვერძი – წინააღმდეგობრივი დღეა. პირველი ნახევარი იღბლიანია ახალი ურთიერთობების დასაწყებად. საღამოს პარტნიორთან კონფლიქტს ელოდეთ. **კურო** – კრიტიკული დღეა. მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობების იმედად იყავით. იოლად ნურავის მიენდობით. **ტყუპები** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები თამამად მიიღეთ. **კირჩხიბი** – შესაძლოა მოულოდნელად გამგზავრება მოგიხდეთ. ინტიმურ სფეროში აქტიურობას პლანეტები არ გირჩევენ. **ლომი** – დღის პირველ ნახევარში ყოველგვარი კომერციული საქმიანობა დაუშვებელია. საყვარელ ადამიანთან ემოციებს ნუ გამოავლენთ. **ქალწული** – ახალი სასიამოვნო ინფორმაცია თქვენს ცხოვრებას შეცვლის. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **სასწორი** – გადახედეთ სამომავლო გეგმებს. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას დღეს ნუ მიიღებთ. **ღრიანკალი** – ნებისმიერი საქმიანობისადმი შემოქმედებითი მიდგომა სასიკეთო შედეგს გამოიღებს. ბავშვების ინტერესები გაითვალისწინეთ. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი დღეა. იაქტიურეთ. შემოთავაზებულ წინადადებებზე უარს ნუ იტყვით. **თხის რქა** – იღბლიანი პერიოდია ახალი იდეების რეალიზაციისათვის, ასევე საპირისპირო სქესთან ურთიერთობისათვის. **მერწყული** – სარისკო ფინანსური ოპერაციებისგან თავი შეიკავეთ. სუფთა ჰაერზე გასეირნება სასიკეთოდ წაგადგებათ. **თევზები** – კარგი დღეა საქმიანი შეხვედრებისათვის. ოჯახურ პრობლემებს იოლად მოაგვარებთ.

გისუჩვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. რაიმე საქონლის შემოტანის ან გატანის აკრძალვა სახელმწიფოში; 2. რუსი მგოსანი; 3. ქალაქის მცხოვრებთა სახელწოდება ძველად გერმანიაში; 4. ოპერა „ლაკმეს“ კომპოზიტორი; 5. ხორბლის ქართული ჯიში; 8. იატაკის ხის საფარი; 9. ციხესიმაგრე ალგეთის ხეობაში; 12. დიდი თევზსაჭერი გემი; 13. მტკნარი წყლის ძვირფასი სარეწაო თევზი; 16. მარტვილის ძველი სახელწოდება; 17. არგენტინელი მწერალი; 19. ქართული ტელეკომპანია; 20. ანგორული თხის მატყლი.

თარაზულად: 6. ქართველი მოქანდაკე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 7. იმერეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 8. გულუხვი მასპინძელი; 10. ხატვის ერთ-ერთი ჟანრი; 11. სანადირო თოფების წარმოების ცენტრი გერმანიაში; 14. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 15. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური გერმანიაში; 18. უძველესი აკადემია კახეთში; 21. მაღალმთიანი კურორტი გურიაში; 22. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 23. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 24. ცნობილი ქართველი მეღვინე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. სოლისიტორი; 2. მატანი; 3. ბარნელი; 4. ლოლუა; 5. სერჟანტი; 6. ჰეკლა; 7. კალორია; 9. შეკელი; 13. დიეზი; 17. ქადა; 18. ლიე.

თარაზულად: 1. სუნიზმი; 3. ბაცილა; 8. პეპელა; 10. გარინჩა; 11. ოსაკა; 12. მარსალა; 14. ატელიე; 15. არაბიკა; 16. ტაქსა; 19. ვაზარი; 20. დიონისე; 21. ქაჯაია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ნუსხური; 2. თარხანი; 3. გარდიანი; 4. სოფიტი; 5. ჭორვილა; 8. მოზაიკა; 9. სალივანი; 12. ალავერდი; 13. კაზუარი; 16. ჯანელიძე; 17. ტავრიდა; 19. რწყილი; 20. ნაბუკო.

თარაზულად: 6. კურლანდია; 7. ბოსფორი; 8. მოდული; 10. გუანაკო; 11. ჟიგა; 14. აკაპულკო; 15. ზარზუელა; 18. ხარება; 21. წერაქვი; 22. ფარსი; 23. ილიადა; 24. ტელესკოპი.

უკრაინელი რეჟისორი ანდრიი ჟოლდაკი თბილისში სპექტაკლს დგამს

ცნობილი უკრაინელი რეჟისორი ანდრიი ჟოლდაკი უილიამ შექსპირის ტრაგედია „მეფე ლირის“ მიხედვით თბილისში სპექტაკლ „დედოფალ ლირს“ დგამს.

სპექტაკლი მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ „საჩუქრის“ ფარგლებში ხორციელდება.

ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელ ქეთევან დოლიძის თქმით, ეს სპექტაკლი არის კათარზისი:

– ამ ანგრეულობაში მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ირაკლი ღარიბაშვილს იმისთვის, რომ გაუსაძლისი სიტუაციის დროს, ვსხედვართ გრიბოედოვის თეატრში, დიდი მადლობა ავთო ვარსიმაშვილსა და ნიკოლოზ სვენტიცკის, უდიდესი უკრაინელი რეჟისორის, ანდრიი ჟოლდაკის რეპეტიციაზე, რომელიც ასე უზნეოდ, ლამის გააგდეს საქართველოდან 2 წლის წინ, რომ მერე მე მოვეშთეთ თეატრიდან!

ახლა აღდგა სამართალი! ანდრიი დაბრუნდა! ვმუშაობთ სპექტაკლზე შექსპირის „მეფე ლირის“ მიხედვით! როგორი დატვირთული, სავსე ფანტაზიით, ვნებით, აღფრთოვანებით სავსეა ეს დღეები! ეს სპექტაკლი კათარსიზივითაა, მეფე ლირი რომ განიცდის, შიშველი და განძარცვული ქარიშხალში. ბრავო ჩვენს ანდრიის!

ცნობილი უკრაინელი რეჟისორი, ევროპის ავანგარდული თეატრის ერთ-ერთი წარმომადგენელი ანდრიი ჟოლდაკი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ახორციელებს საერთაშორისო პროექტს „შექსპირი. შეხვედრები“. „დედოფალი ლირი“ სწორედ აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაიდგმება.

სპექტაკლის მოქმედება ოჯახში ვითარდება. თემა თაობებს შორის ურთიერთობას ეხება: მშობლები და შვილები. რეჟისორი გვიჩვენებს, თუ როგორ ანგრევს ადამიანური ეგოიზმი, მატერიალიზმი და სიძულვილი ოჯახურ ჰარმონიას, სიყვარულს, ურთიერთპატივისცემას და როგორ მიჰყავს ადამიანური ურთიერთობები სრულ კრახამდე. ყველა მიზანსცენა მისტიფიკაციაა. სპექტაკლში მოქმედებები რეალური ცხოვრებიდან გადადის თეატრში და ბრუნდება ისევ რეალობაში.

ეს სპექტაკლი დაიდგმება როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სცენაზე. მასში მონაწილეობას მიიღებენ ქეთი დოლიძე, თემო გვალია, პაატა ბარათაშვილი, ირინა გიუნაშვილი, ანრი ბიბინეიშვილი, ბუბა ჭოღოშვილი, თამარ ბზიავა, თამარ ბუაჩიძე, ილია ჭეიშვილი, სოსო ხვედელიძე და ლაშა გაბუნია.

სამგლოვიარო განცხადებები

დედა ჯულიეტა, მეუღლე თამარი, შვილები ანა, ლიზი, მარი, ბიძები დავით, ავთანდილ კვარაცხელიები ოჯახებით, დალი, ზურაბ, ვახტანგ გოგბერაშვილები, რუსუდან, ვაჟა, გიორგი წიქვაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ირაკლი (ბოხო) თამაზის ძე კვარაცხელიას

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: 30 ივლისს, 14 საათზე;

მისამართი: დიღმის III კვარტალი (დიღმის ხიდი), 26 „ბ“ კორპუსი (გამგეობის წინ), II სადარბაზო, III სართული, ბინა 26.

კვარაცხელიების საგვარეულო კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით უსამძიმრებს დავით და ავთანდილ კვარაცხელიებს ძმისშვილის

ირაკლი (ბოხო) თამაზის ძე კვარაცხელიას

გარდაცვალების გამო.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი გეოფიზიკოსი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო და აკად. მ. ალექსიძის სახელობის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის და შრომის ვეტერანის მედლის კავალერი, გეოფიზიკის ინსტიტუტის გამოყენებითი და ექსპერიმენტული გეოფიზიკის სექტორის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, პროფესორი

ვახტანგ გრიგოლის ძე აბაშიძე

ფასდაუდებელია პროფ. ვ. აბაშიძის სამეცნიერო წვლილი ქართული გეოფიზიკური მეცნიერების საგანძურში.

ინსტიტუტში მოსვლის პირველ წლებში ის იკვლევდა სხვადასხვა სისტემის საველე გრავიმეტრების ტემპერატურულ რეჟიმს მისივე ხელმძღვანელობით აგებულ თერმულ კამერაში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კამერით სარგებლობდნენ მოსკოველი კოლეგებიც თავიანთი საველე გრავიმეტრების ტემპერატურული რეჟიმის შესასწავლად.

1967 წლიდან ვ. აბაშიძე სათავეში ჩაუდგა მდ. ენგურზე მშენებარე თაღოვანი კაშხლის ტერიტორიაზე დახრისმზომით და ექსტენზომეტრიულ სამუშაოებს, რომელთა მიზანი იყო, სტაციონარულ პირობებში თვალყური ედევნებინათ იქ მიმდინარე დეფორმაციული პროცესებისათვის, განსაკუთრებით კი მარჯვენა სანაპიროს რღვევისთვის, რომელიც გადის კაშხლის მარჯვენა ფრთის ქვეშ და რომლის აქტიურობაზე დიდად არის დამოკიდებული კაშხლის მდგრადობა. 50 წელზე მეტია, ბატონი ვახტანგი ამ საქმეს შესაშური ენთუზიაზმით ხელმძღვანელობდა, რომლის შედეგებს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ უნიკალური თაღოვანი კაშხლის უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის.

წლების განმავლობაში ბატონი ვახტანგი სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად ეწეოდა პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც. 1988 წლიდან ვ. აბაშიძე შეთავსებით მუშაობდა საქ. ტექნიკურ უნივერსიტეტში. გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის დეპარტამენტში ის კითხულობდა გეოდეზიური გრავიმეტრიის თეორიულ კურსს. იყო საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი, სხვადასხვა რანგის სამეცნიერო კონფერენციათა საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, მრავალი საგაზეთო სტატიის ავტორი.

ვ. აბაშიძე იყო 150 სამეცნიერო შრომის ავტორი. მათ რიცხვში ორი მონოგრაფიაა რუსულ და ინგლისურ ენებზე.

სამაგალითო პიროვნების, უმწიკვლო მოქალაქის, უაღრესად პრინციპული ადამიანის, შესანიშნავი მეოჯახისა და მეგობრის, ვახტანგ აბაშიძის სახელი დიდხანს დარჩება მისი ახლობლებისა და კოლეგების ხსოვნაში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი
საქართველოს გეოფიზიკური საზოგადოება

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

გიორგი ონიანი: „სვანურ ენაში გინება არ არსებობს“

ოპერის მომღერალი გიორგი ონიანი გინების გააქტიურების თემას ეხმაურება და აცხადებს, რომ სვანურ ენაში გინება არ არსებობს:

– ზოგადად, გინება მოდის მონღოლეთიდან. მანდ არსებობდა ასეთი ტრადიცია, რომ თუ შემგინებელი ვიღაცის დედაზე რამეს იტყოდა და რამეს დაუპირებდა, ასრულებდა კიდეც.

მოგეხსენებათ, შემდეგ მონღოლეთმა დაიპყრო ნახევარი დედამიწა და ეს ტრადიცია გავრცელდა. ჟამთა განმავლობაში ფუნქცია შეეცვალა, რადგან ზოგ შემგინებელს დაეზარა, ზოგმა ვერ მოიცალა, ზოგს ვიღაცის დედა არ მოეწონა, ზოგმა ვერ ივარგა და დარჩა დაპირებად. სხვათა შორის, ისეთ ქვეყნებში, სადაც მონღოლური ურდო არ ყოფილა, „დედა“ არ ფიგურირებს გინებაში.

საქართველოში კი დალოცვილი მიწა გვაქვს და ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდა გინებისთვისაც. ქართულმა ფანტაზიამ ერთობ გაამრავალფეროვნა და მეტი დანიშნულება შესძინა ამ მონღოლურ ტრადიციას: გადავწვდით მკვდარ-ცოცხალს, კეთილებს, პატრონს, გამზრდელს, ჯიშჯილაგს და ვინ მოთვლის. ზოგი საკუთარ დედაზეც იგინება.

პ.ს. სვანურ ენაში გინება არ არსებობს.

გიორგი ცხადაძემ კლიპი გადაიღო

„მხოლოდ ქართულის“ მონაწილემ, მომღერალმა გიორგი ცხადაძემ, კლიპი გადაიღო.

მან ყველასთვის ცნობილი სიმღერა „ავადა ვარ, ავადა“ ახლებური ვერსიით ჩაწერა და მასზე შესაბამისი ვიდეორგოლიც შეიქმნა.

ვიდეოკლიპი ინტერნეტში უკვე განთავსდა და მას ათასობით გაზიარება, მოწონება და ბევრი დადებითი კომენტარი აქვს. გიორგის გულშემატკივრები დარწმუნებული არიან, რომ მათი ფავორიტი მომღერალი სულ უფრო მეტი სიახლეებით გაანებივრებს.

გიორგი პაპკიაური: „უნდა გიყვარდეს ის, ვისაც შენი სიყვარული შეუძლია“

მომღერალი და მხატვარი გიორგი პაპკიაური მიიჩნევს, რომ სიყვარული ადამიანს ყველაფერს შეაძლებინებს:

– უნდა იცხოვრო მისთვის, ვინც ყოველთვის ნახავს მიზეზს შენთან ყოფნისთვის.

უნდა იმეგობრო მასთან, ვინც საკუთარ თავს გახსენებს და ვისაც ენდობი.

უნდა გიყვარდეს ის, ვისაც შენი სიყვარული შეუძლია.

უნდა აფასებდე მას, ვინც შენზე ფიქრობს.

უნდა შეგეძლოს ხალხში ადამიანის ამოცნობა და შენარჩუნება!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

* კალიფორნიიდან*

პლეიბოის მოდელი არაყს მიეჩვია

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ რანჩო-კუკამონგას მკვიდრმა ალკოჰოლის დამღუპველ შედეგებზე ისაუბრა.

36 წლის ჯესიკა ლენდონი ლოს-ანჯელესში 19 წლის ასაკში გადაბარგდა, რათა ოცნება აეხდინა. იქ ის მოდელი გახდა და ისეთ მსხვილ კომპანიებთან თანამშრომლობდა, როგორებიცაა: Playboy, Perfect 10, Nickelodeon da NBC. ის 20 წლის ასაკში არყის სმას მიეჩვია.

– ხმაურიან კომპანიებსა და წვეულებებზე დალევა არ მიყვარდა, – აღიარა ლენდონმა, – ალკოჰოლი ჩემი ჯადოსნური წამალი იყო, რომელიც მათავისუფლებდა შიშის, პანიკისა და სირცხვილის გრძნობისგან.

მოდელი იხსენებს, რომ 26 წლის ასაკში უკვე რეგულარულად სვამდა არაყს.

– გამუდმებით, ყოველდღე სვამდი. ამის გამო ხშირად სისხლსაც ვაღებინებდი. ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო, – იხსენებს ლენდონი, – მახსოვს, იატაკზე ვეგდე და სრულ გათიშვამდე ვსვამდი. ფეხზე წამოდგომის თავი არ მქონდა.

რაღაც მომენტში მოდელმა გადაწყვიტა, რომ მას დახმარება სჭირდებოდა და თავის ყოფილ პარტნიორს დაურეკა. მეორე დღეს ის მასთან პარამედიკების თანხლებით მივიდა.

ჯესიკა ლენდონი სამკურნალოდ დააწვინეს. ალკოჰოლზე დამოკიდებულებისგან სრულად განკურნების შემდეგ კი მან გადაწყვიტა, საკუთარი ისტორია ყველასთვის ხელმისაწვდომი გაეხადა, რათა ამით სხვებიც გაეფრთხილებინა, თუ რამდენად დამღუპველი შეიძლება აღმოჩნდეს ალკოჰოლიზმი.

10 წლის წინ დაკარგული გამყიდველის ცხედარს მაცივრის უკან მიაგნეს

ამერიკის აიოვის შტატის ქალაქ კაუნსილ-ბლაფსში აღმოაჩინეს გამყიდველის ცხედარი, რომელიც 10 წლის წინ დაიკარგა.

ცხედარი მიმდინარე წლის იანვარში დაკეტილი მაღაზიის მაცივრის უკან იპოვეს, მაგრამ, იმის გამო, რომ ძალიან იყო გახრწნილი, მისი ვინაობის დადგენა მხოლოდ ახლახან მოხერხდა. ის აღმოჩნდა მამაკაცი, რომელიც ამავე მაღაზიაში მუშაობდა. ის 2009 წელს უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადდა.

სპეციალისტების მტკიცებით, მამაკაცი 45-სანტიმეტრიან ნაპრალში ჩავარდა, ხოლო მაცივრის ხმაურის გამო მისი ყვირილი ვერავინ გაიგონა. ინციდენტი უბედურ შემთხვევად დაკვალიფიცირდა.

პოლიციის წარმომადგენლის თქმით, ისინი ხშირად აწყდებიან ადამიანების დაკარგვის შემთხვევებს, თუმცა მსგავსი შემთხვევა ადრე არ ჰქონიათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გაზეთი „ახალი თაობა“ და ვებგვერდი AKHALITAOBA.GE აცხადებენ 50%-იან საზაფხულო ფასდაკლებას რეკლამის განთავსებაზე 1 სექტემბრის ჩათვლით. დარეკეთ 577460659 ან 595183709

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

27 ივლისისთვის

- აშშ დოლარი — 2.9321
- ევრო — 3.2637
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6446
- 100 რუსული რუბლი — 4.6236

ამინდის პროგნოზი 27 ივლისისთვის



„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

16 ივლისიდან

ელეონორ პორტერი

პოლიანა

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი



19 ივლისიდან

რევაზ მიშველაძე

ციყვი ბორბალში

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

ანეკდოტი

მამაკაცი გვიან ღამით ბარში შედის და ბარმენს კათხა ლუდს უკვეთს. ბარმენი ლუდს უსხამს და ეუბნება:

– აი, ინებეთ, ხუთი თეთრი დაგიჯდებათ.

– რაა? მელანდება? ასეთი შესანიშნავი ლუდი ხუთ თეთრად? მაშინ კიდევ კონიაკი, ნეკნები და შებოლილი თევზი...

– აი, ინებეთ, ეს ყველაფერი 20 თეთრი დაგიჯდებათ.

– ეს ძალიან მომწონს! და ვინ არის ამ ბარის მეპატრონე?

– შეგიძლიათ გაიცნოთ, ის იქ, ზევით არის, ჩემს ცოლთან ერთად.

– კი მაგრამ, რას აკეთებს შენს ცოლთან ერთად?

– იმას, რასაც ახლა მე მის ბიზნესს ვუკეთებ.

●●●

კაცი პროგრამისტს ურეკავს და ეკითხება:

– კომპიუტერი თავისით ითიშება და როგორ მოვიქცე?

– სისტემური ბლოკი დაბლა გიყენია?

– კი.

– წინდები გამოიცვალე... გონებას კარგავს.

●●●

ფეხბურთის მატჩის დროს ბავშვი მამას ეკითხება:

– მამიკო, იმ მაყურებელს რატომ აგინებენ მის გვერდით მსხდომები?

– მსაჯს ბოთლი ესროლა.

– კი მაგრამ, ხომ ვერ მოარტყა!

– ჰოდა, მაგიტომაც ეჩხუბებიან.

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– სად მუშაობ?

– უშიშროებაში.

– ვაა, მაგარია, მომიყევი რაიმე საინტერესო!

– შენზე თუ ჩემზე?

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– ამ დილით ასე ცუდად რატომ გამოიყურები, წუხელ სვამდი?

– რომ მცოდნოდა, ასე ცუდად ვიქნებოდი, ნამდვილად დავლევდი!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ოზილსა და კოლოშინაცს მძარცველები დაესხნენ თავს

ლონდონის არსენალის ფეხბურთელებს მესუტ ოზილსა და სეად კოლოშინაცს ორი მძარცველი მაშინ დაესხა თავს, როდესაც ისინი ოზილის მანქანაში ისხდნენ.

მძარცველები დანებით იყვნენ შეიარაღებული და, სავარაუდოდ, მათ ოზილის ძვირადღირებული მანქანის გატაცება სურდათ, მაგრამ კოლოშინაცმა მათ ხელი შეუშალა და ცოტა ხანში პოლიციაც გამოჩნდა, თუმცა დამნაშავეებმა გაქცევა მოახერხეს.

შემთხვევა თურქული რესტორნის სიახლოვეს მოხდა, სადაც ოზილი ხშირად დადის. როგორც ჩანს, დამნაშავეები მას უთვალთვალებდნენ და იცოდნენ მისი მარშრუტის შესახებ.

ტოტენჰემს პაულო დიბალას ყიდვა სურს

ტოტენჰემმა გადაწყვიტა, რომ წლევანდელ სატრანსფერო ბაზარზე უფრო აქტიური იყოს, ვიდრე შარშან და იუვენტუსის არგენტინელ შემტევ პაულო დიბალას დაადგა თვალი. დიბალას იუვენტუსიდან წასვლაზე უკვე ბევრს საუბრობენ და, სავარაუდოდ, პაულო ტურინს დატოვებს, რადგან ის მაურისიო სარის სქემაში არ ჯდება.

იუვენტუსი დიბალას ტრანსფერში 80 მილიონს ითხოვს და ეს, შესაძლოა, დაბრკოლება გახდეს ტოტენჰემისთვის.

მხარეები უახლოეს დღეებში მოლაპარაკებებს გამართავენ.

ბარსელონა რაკიტიჩს ან ვიდალს გაუშვებს



ბარსელონა, სავარაუდოდ, რომელიმე საყრდენ ნახევარმცველს შეელევა. ეს ან არტურო ვიდალი იქნება, ან ივან რაკიტიჩი.

ბარსელონაში ამ პოზიციაზე ჰოლანდიელი ფრენკი დე იონგი გადმოვიდა და კონკურენცია უფრო გაიზრდება. გარდა ამისა, ბარსელონა ნეიმარის დაბრუნებაზეც ფიქრობს და დამატებითი თანხები სჭირდება.

რაკიტიჩმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა რომ ბარსელონის დატოვება არ სურს, მაგრამ, შესაძლოა, ხორვატ ფეხბურთელს მაინც მოუწიოს ამის გაკეთება.

ვალვერდემ განაცხადა, რომ მომავალ სეზონში რაკიტიჩს ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ ექნება.

სოლსკიაერმა თავისი ფეხბურთელები შეაქო

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა თავისი ფეხბურთელები შეაქო, რომლებმაც რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა მოიგეს.

სოლსკიაერის თქმით, გუნდი სწორი მიმართულებით მიდის და მას განსაკუთრებით ახალგაზრდა ფეხბურთელების თამაში ახარებს:

– ჩვენ კარგად ვემზადებით სეზონისთვის და ეს სეზონი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. მე ვხედავ ბევრ ახალგაზრდა ფეხბურთელს, რომლებსაც პოტენციალი აქვთ და ეს მახარებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ძაღლი მამაკაცს გამილიონერებაში დაეხმარა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ ჰენდერსონის მცხოვრები ამტკიცებს, რომ ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა ძაღლის წყალობით, რომელსაც მისთვის წარმატებები მოაქვს.

მოისეს დუარტე თავისი ში-ტცუს ჯიშის ძაღლის თანხლებით დასთან ქალაქ დარემში სტუმრობდა და იქვე მაღაზიაში შეირბინა. იქ მამაკაცმა 10 დოლარად რედ ჰოტ მილიონის ლატარიის ბილეთი შეიძინა, რომელმაც მას მილიონი დოლარის მოგება მოუტანა.

– როდესაც მოგებული ფულადი პრიზის რაოდენობა ვნახე, საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი, – აღიარა დუარტემ, – უბრალოდ, ერთ წერტილს მივაშტერდი და თვალს არ ვაშორებდი.

ლატარიის გამარჯვებულმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სწორედ თავისი შინაური ცხოველის წყალობით გახდა მილიონერი.

– ლატარიის ბილეთს არ ვიყიდიდი, ძაღლი ჩემს დასთან, რომ არ წამეყვანა, – აღნიშნა იღბლიანმა ამერიკელმა.

ქალს სიჯიუტემ ფეხი დააკარგვინა

ჩინეთის ხეილუნცზიანის პროვინციის ქალაქ ხარბინში ქალის ფეხი ესკალატორმა ჩაითრია. ამის ამსახველი თვითმხილველის მიერ გადაღებული ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა პორტალმა გამოაქვეყნა.

ინციდენტი ადგილობრივ სავაჭრო ცენტრში მოხდა. კადრებში ჩანს, რომ ქალი ესკალატორის მოაჯირსაა ჩაბღაუჭებული, ხოლო მაშველები ესკალატორს შლიან და მისი ფეხის გათავისუფლებას ცდილობენ. მწყობრიდან გამოსულმა მანქანამ ქალს მარცხენა ფეხი მუხლს ქვევით მოჰკვეთა, ხოლო მარჯვენა დაუზიანა.

ქალი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს და ოპერაცია გაუკეთეს. მისი მდგომარეობა სტაბილურია.

დაშავებულის ნათესავები ამტკიცებენ, რომ ესკალატორი მუშაობდა, მაგრამ რაღაც მომენტში მწყობრიდან გამოვიდა, მას კი წასასვლელი არსად ჰქონდა.

თუმცა რამდენიმე თვითმხილველი აღნიშნავს, რომ ესკალატორის შეკეთების სამუშაოები მიმდინარეობდა, ხოლო მასზე შესასვლელი გადახერგილი იყო.

– მან ხერგილი გასწია და ესკალატორზე შედგა, რომელიც იმ დროს შემოწმებას გადიოდა, – განმარტა სავაჭრო ცენტრის ერთ-ერთი მაღაზიის მფლობელმა.

პოლიციამ მომხდარის გამოძიება დაიწყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ცილისწამება, მონაჭორი ვინმეს სახელის გასატეხად; 2. ფრანგული ოპერეტის ფუძემდებელი; 3. რუსეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 4. ნადირთა მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 5. მსჯელობის საგანი; 6. თბილი მოსასხამი; 7. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 9. იაპონური მაფია; 17. სასულე ორკესტრის მიერ შესრულებული მუსიკალური მისალმება; 18. ბუნებრივი წყალსაცავი; 19. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი.

თარაზულად: 1. ზღვისპირა კურორტი ლატვიაში; 3. სუფრის ხელმძღვანელი; 8. თხელი ფურცლოვანი რკინა; 10. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 11. ხრახნული კონვეიერი; 12. შუამავალი სავაჭრო გარიგებაში; 14. სულხან-საბა ორბელიანის მშობლიური სოფელი; 15. პეკინის მეორე სახელწოდება; 16. ჩეხური საავტომობილო კომპანია; 19. ვულკანი იტალიაში; 20. მხარე გერმანიაში; 21. დამჟავებული ბოსტნეული.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა